დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ლიპარტელიანი

წევრები:

ციალა გაგნიძე
ეკატერინე ცნობილაძე
თამარ ხატიაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ნაია ენდელაძე
ოლიკო კილაძე
ნინო ჯახველაძე
ნინელი ცერცვაძე
მარინა ანესაშვილი
ქეთევან ცირეკიძე

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიულიპირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	212708042

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. ქუთაისი**
იურიდიული მისამართი	ცისფერყანწელების ქ. 6 /რუსთაველის გამზირი 9
ფაქტობრივი მისამართი	ცისფერყანწელების ქ. 6 /რუსთაველის გამზირი 9
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს. არის აცებოოკ-ზე შექმნილი გვერდი - ჰტტპს://წწწ.ფაცებოოკ.ცომ/პროფილე.პჰპ?იდ=100075934111788&მიბეხტიდ=ძბჭ წ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	უტაისი1 მეს.გოვ.გე
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 27 75 01

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 მაისის შ 8 23 0000522757 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 7-8 ივნისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ. 6 /რუსთაველის გამზირი 9
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ. 6 /რუსთაველის გამზირი 9
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ. 6 /რუსთაველის გამზირი 9

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. სკოლა წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიის მქონე კულტურულ მემკვიდრეობას. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისგან იგრძნობოდა სკოლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც მისი ძლიერი მხარეა. სკოლის ტრადიციებისა და მასშტაბის გათვალისწინებით მისი ეს გამოცდილება ვფიქრობთ რომ ერთ-ერთი ის მიმართულებაა, რომელიც უკვე სასკოლო კულტურის ნაწილია და აძლიერებს სკოლას პროცესების სწორად წარმართვისთვის. სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან ინტერვიურების დროს ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და თანამშრომლობა. არაერთხელ აღინიშნა პედაგოგების მიერ ახალი სტანდარტისთვის მზადებისა და ავტორიზაციის პროცესისთვის კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, როგორც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ავტორიზაციის გუნდს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო მშვიდ და საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აღსანიშნავია სკოლის მისწრაფება და გადადგმული ნაბიჯები გერმანული ენის სწავლების გაძლიერებისაკენ. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა, ,,FIT" სკოლის სტატუსიდან გადავიდა გაძლიერებული სტატუსის „DSD" სკოლის რანგში. საინტერესოა სკოლაში კანდიდატის სტატუსის მიღებამდე სკოლის ძლიერი ბაზა, რომელზეც დაშენდება ის საერთაშორისო გამოცდილება და რესურსი, რასაც კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მოსდევს. ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოება აღნიშნულისკენ დაგვხდა მიმართული, ემზადებოდნენ გერმანული მხარის წარმომადგენლების მისაღებად. აღნიშნული მიმართულების გაძლიერება მნიშვნელოვანია არამარტო კონკრეტული სკოლის მოსწავლეებისთვის, არამედ თემში, სხვა სკოლებისთვის, რადგან ქუთაისში ამ ეტაპზე მხოლოდ პირველ სკოლას აქვს გაძლიერებული გერმანული ენის კანდიდატის სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **■ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **2400**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის პროგრამა

საბაზო საფეხურის პროგრამა

საშუალო საფეხურის პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის სექტემბრის ბოლომდე, სკოლის მხრიდან საჭიროა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2024 წლის მარტის ბოლომდე, სკოლის მხრიდან საჭიროა:* *1. საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნა; სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;* *2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცება;* *3. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მიღება;* *4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღების უზრუნველყოფა.*
3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის სექტემბერში სკოლის მხრიდან საჭიროა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მდგომი ჰაერის გამწოვი სპეციალური მოწყობილობის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.*
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის ოქტომბერში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		სკოლის მხრიდან საჭიროა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.
3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის ნოემბერში სკოლის მხრიდან საჭიროა:* • *სკოლის ვებ-გვერდის შექმნა;* • *ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.*
3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის ნოემბერში სკოლის მხრიდან საჭიროა ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება.*
3.7.1.1	*სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის დეკემბერში სკოლის მხრიდან საჭიროა 2023-2024 სასწავლო წლის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		სამოქმედო გეგმის დამტკიცება და ამ სამოქმედო გეგმასთან კავშირში მყოფი ბიუჯეტის დამტკიცება.
3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის დეკემბერში სკოლის მხრიდან საჭიროა სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება.*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** ***დაწყებითი საფეხური***	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
2.2.2.2	*საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის 07 სექტემბრამდე, სკოლის მხრიდან საჭიროა უცხო ენების კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით, მოსწავლის ცოდნაზე და მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების კურიკულუმებში შეტანა.*
2.2.2.3	*შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023 წლის 07 სექტემბრამდე, სკოლის მხრიდან საჭიროა უცხო ენების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით, განმავითარებელ შეფასებაში ჰოლისტური მიდგომების ჩვენება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;*	*სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულია დაკვირვება. მონაცემთა ტრიანგულაციისათვის, საჭიროა მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ხერხების გამოყენება. სასურველია თუ დაწესებულება გარდა დაკვირვებისა, გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან საშუალებებს. ისეთებს როგორიცაა: ინტერვიუ, გამოკითხვა, დოკუმენტების შესწავლა და ა.შ.*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.*	*საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვისათვის, კარგი იქნება თუკი სკოლა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიან დოკუმენტს.
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სასურველია სკოლამ ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშავოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება შესაბამისი პროცედურები.*
3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია საექსპერიმენტო კათედრა, რომელიც მოძველებულია და მისი ზედაპირი რამდენადმე დაზიანებულია. შესაბამისად, საჭიროა მისი გამოცვლა და ახლით ჩანაცვლება.*
3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*კარგი იქნება, სამომავლოდ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ ლაბორატორიების, არამედ სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.*
3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტის სახით საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილი იქნებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმალური და არაფორმალური საშუალებები. სასურველია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		დაწესებულებამ შეიმუშავოს აღნიშნული წესი, რაც სკოლას და სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებაში.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
4.2.4.2	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;*	*სასურველია არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ჩამონათვალი, აღწერილობა, განრიგი და პირობები გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასურველია დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები კურიკულუმის შემუშავების პროცესებში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობისთვის.*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის სტანდარტის შეფასება დაეყრდნო სკოლის მიერ წარმოდგენილ, მხოლოდ მე-10 კლასის საგნობრივ კურიკულუმებს. სასურველია, სკოლამ განავითაროს საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისათვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		რთულია იმის თქმა თუ რამდენად არის უცხოური ენების საგაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული შუალედური მიზნები მოსწავლეთა განივითარებაზე ორიენტირებული რადგან ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები ერთნაირია. რჩება შთაბეჭდილება რომ ყველა ქვესაკითხსა და ქვეთემაში უნდა შექმნან პოსტერი ან პრეზენტაცია თუმცა განსხვავება არის მხოლოდ თემებში. უმჯობესი იქნება გარდა პრეზენტაციების მომზადებისა, მოსწავლეების ამ უნარების განვითარებისთვის კათედრამ შესთავაზოს სხვა მრავალფეროვანი აქტივობებიც. მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებაზე მიუთითებს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი მეთოდური ორიენტირები და უცხოური ენის კლუბები, ასევე რუსულ ენაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუში.
2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში უმეტეს შემთხვევაში არ არის მიმართება კომპლექსური დავალების პირობასა და სამიზნე ცნებებს შორის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მიმართება სწორია. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობაშეცვალოს და ყველათემას მოარგოს შესაბამისი სამიზნე ცნება. მომავალში უმჯობესია გადახედონ და სწორად განსაზღვრონ მიმართება სამიზნე ცნებებსა და საკითხებს, კომლექსურ დავალებების პირობებს შორის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სპორტში განმსაზღვრელი შეფასების დაწერისას (ჩათვლა), სასურველია შეიქმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკა, ამის გათვალისწინებით, საჭიროა შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. ეს რჩევა გამომდინარეობს სკოლის მიერ წარმოდგენილი „მე-12 რესურსის“ დოკუმენტის ჩანაწერიდან ("ვინაიდან ჩვენი დისციპლინა არ გულისხმობს განმსაზღვრელ შეფასებას, შესაბამისად, რუბრიკაც არ შეგვიქმნია.") უცხოური ენების კათედრის ოქმში აღნიშნულია რომ სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან გამოიყენებენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს. ასევე, წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი კომპლექსური დავალების მაგალითზე. სადაც ისევ არ არის მიმართება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალების პირობას შორის, შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც არ მიემართება ყველა იმ სამიზნე ცნებას რაც ამ კონკრეტულ დავალებაში აქვთ აღნიშნული. უმჯობესი იქნება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწა და აქ სწორედ სამიზნე ცნებების სიღრმისეულად აღქმა.*
2.2.1.2	*ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;*	*იქიდან გამომდინარე, რომ უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და საკითხები ერთნაირია, და მოსწავლეების მხრიდან მხოლოდ ჰოსტერის ან პრეზენტაციის გაკეთებას მოიაზრებს, რთულია იმის თქმა რამდენად ხდება წინაზე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება. თუმცა,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		უცხოური ენის წრეების განსახორციელებელი აქტივობები წინარე ცოდნაზეა დაფუძნებული. შესაბამისად, უმჯობესია კურიკულუმის ჩარჩოში იმდენი კომპლექსური დავალების პირობის აღწერა რამდენიც განსაზღვრული აქვთ შემაჯამებელი რაოდენობის გამსაზღვრელ დოკუმენტში.
2.2.1.3	*სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;*	*ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული უცხოური ენების სასწავლო მიზნები სწორედაც რომ სწავლის-სწავლაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე მიუთითებს, თუმცა, საბაზო საფეხურის კურიკულუმში ეს არ არის ღრმად გაანალიზებული და საჭიროებს მეტ დახვეწას.*
2.2.1.4	*სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);*	*სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში და უცხოური ენების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების ცოდნა კონსტრუქტივისტული პრინციპებისადმი ხოლო ამის პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა მათ მიერ მოყვანილი მაგალითებით და უცხოური ენის კლუბის პროექტებით. უმჯობესია, რომ ეს ყველაფერი იყოს ასახული კურიკულუმის ჩარჩოშიც.*
2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები რამდენიმე შემთხვევაში არ მიემართებოდა კომპლექსური დავალების საკითხებს, უფრო მეტიც, ერთიდაიგივე იყო ყველა თემის მიმართებით. ასევე არ იყო კორელაცია სამიზნე ცნებებს, საკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს შორის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ახსნეს იმით, რომ ჩარჩოს შესამუშავებლად ჰქონდათ მხოლოდ 3 დღე და სისწრაფის დროს მოხდა შეცდომების დაშვება. ამის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

		მიუხედავად, მათ მზაობას ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რუსული ენის კომპექსური დავალება, გერმანულ ენასი წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები. შესაბამისად, საშუალო საფეხურის ინგლისური ენის კურიკულუმი საჭიროებს გადახედვას და სამიზნე ცნებების მორგებას თემებიდან გამომდინარე.
2.2.2.4	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*კარგი იქნებოდა, ქართული ენა და ლიტერატურის შეფასების რუბრიკების ჩამოყალიბება-სრულყოფის პროცესებში ჩართულიყვნენ მოსწავლეებიც.*
2.3.2.3	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;*	*სპორტში, დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში („მე-12 რესურსი“) მითითებულია, რომ სკოლა არ იყენებს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს. სამომავლოდ სასურველია შეფასების მეტად ეფექტურობისათვის შეირჩეს სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება კურიკულუმის შეფასებისთვის..*

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასურველია დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები კურიკულუმის შემუშავების პროცესებში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობისთვის*
2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სპორტში განმსაზღვრელი შეფასების დაწერისას (ჩათვლა), სასურველია შეიქმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკა, ამის გათვალისწინებით, საჭიროა შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. ეს რჩევა გამომდინარეობს სკოლის მიერ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		წარმოდგენილი „მე-12 რესურსის“ დოკუმენტის ჩანაწერიდან ("ვინაიდან ჩვენი დისციპლინა არ გულისხმობს განმსაზღვრელ შეფასებას, შესაბამისად, რუბრიკაც არ შეგვიქმნია.") უცხოური ენების კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან გამოიყენებენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს. ასევე, წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი კომპლექსური დავალების მაგალითზე. სადაც ისევ არ არის მიმართება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალების პირობას შორის, შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც არ მიემართება ყველა იმ სამიზნე ცნებას რაც ამ კონკრეტულ დავალებაში აქვთ აღნიშნული. უმჯობესი იქნება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწა და აქ სწორედ სამიზნე ცნებების სიღრმისეულად აღქმა.

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასურველია დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები კურიკულუმის შემუშავების პროცესებში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობისთვის*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმში და ინტერვიუების დროსაც აღინიშნა სკოლას არ აქვს შუალედური მიზნების ჩამოყალიბებისა და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		განხორციელების დიდი გამოცდილება ამიტომაც დაწყებით საფეხურზე (1-6 კლასები) წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში არ იყო გამოკვეთილი თუ რამდენად წარმოადგენს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დადგეგმვისა და განვითარების გზას, იმდენად რამდენადაც წამოდგენილი იყო მხოლოდ თემა, საკითხი და რესურსები სადაც მითითებული იყო მხოლოდ გვერდი სახელმძღვანელოდან. *2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე, სასურველია კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრამ გადახედოს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს და მეტად დახვეწონ. ასევე, შეიქმნას თემატური მატრიცები. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებების იდეა უფრო მკაფიო გახდეს. კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითი ტექნოლოგიების საგანში ერთი და იგივეა. შესაბამისად, კონტექსტ მაგალითის სვეტში შეილება ჩაიწეროს "მაგალითი შედარებისთვის", ხოლო ამ სვეტში ჩაიწეროს თითოეული კომპლექსური დავალებისთვის დასრულებული ვარიანტის ბმული - როგორც მაგალითი შედარებისთვის. მაგალითად, თუ ვთხოვთ შცრატცჰ-ში თამაშის შექმნას, იდეის მარჯვნივ, "მაგალითი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		შედარებისთვის" სვეტში ჩაიწეროს თამაშის უკვე დასრულებული ვარიანტის ბმული.
2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში საერთოდ არ იყო შევსებული სამიზნე ცნებების ველი რთული იყო განსაზღვრა თუ რამდენად მიემართებოდა კურიკულუმები ესგ-თი განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.*
2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სპორტის საგანში განმსაზღვრელი შეფასებით (ჩათვლით), ფასდება შემაჯამებელი, ამიტომ სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა.*
2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმშია აღნიშნული კომპლექსური დავალების შექმნის დიდი გამოცდილება სკოლას არ გააჩნია შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული იყო მხოლოდ სახელმძღვანელოდან ამოღებული თემები, ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალების არცერთი პირობა და უმჯობესი იქნება ეს აისახოს კურიკულუმის ჩარჩოში.*
2.2.1.2	*ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;*	*უცხოური ენების დაწყებით კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მოიცავდა მხოლოდ თემებს, ამიტომ რთულია განსაზღვრა თუ რამდენად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თუმცა, უცხოური ენის წრეების განსახორციელებელი აქტივობები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		წინარე ცოდნაზეა დაფუძნებული. შესაბამისად, უმჯობესია კურიკულუმის ჩარჩოში მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალების პირობის აღწერა მაინც რაც უფრო გამოკვეთს ცოდნის აგების გზას.
2.2.1.3	*სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;*	*ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში უცხოურ ენებში ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები სწორედაც რომ სწავლის-სწავლაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე მიუთითებს, თუმცა, დაწყებითი კლასების კურიკულუმში ეს არ არის ნათლად წარმოჩენილი და უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმის ჩარჩოშიკომპლექსური დვალებების პირობის, კონტექტს მაგალითებისა და სამიზნე ცნებების ველის შევსება.*
2.2.1.4	*სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);*	*უცხოური ენებში დაწყებით საფეხურზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი პროექტები და კომპლექსური დავალებები რაც დაადასტურებს მათ ცოდნას კონსტრუქტივისტული პრინციპებისადმი, თუმცა მასწავლებლებმა, ინტერვიუს დროს ამაზე ისაუბრეს დამაჯერებლად. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული მეთოდური ორიენტირები მიემართება კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, სკოლა აქვს მზაობა იგივე წარმოაჩინოს კურიკულუმშიც კომპლექსური დავალების პირობებისა და სამიზნე ცნებების ველის შევსებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.1.5	*სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*	*უცხოურ ენებში მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებმა თქვეს რომ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობას თვეების განმავლობაში იყენებდნენ როგორც სკოლაში ასევე სახლშიც, თუმცა ეს მაგალითი არ აქვთ დოკუმენტირებულად დადასტურებული. უმჯობესია კურიკულუმშიც გაიწეროს მსგავსი აქტივობები კომპლექსური დავალებების სახით. უცხოური ენების კლუბების შინაარსი ცოდნის ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს.*
2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოში საერთოდ არ იყო გაწერილი სამიზნე ცნებები, თუმცა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში, ასევე რუსულ ენაში წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების დოკუმენტში კარგად არის წარმოჩენილი სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მასწავლებლის მიერ. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა ეს წარმოაჩინოს კურიკულუმებშიც. ამიტომაც, უმჯობესია სამიზნე ცნებების ველის შევსებაც.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.4	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*კარგი იქნებოდა, ქართული ენისა და ლიტერატურის შეფასების რუბრიკების ჩამოყალიბება-სრულყოფის პროცესებში ჩართულიყვნენ მოსწავლეებიც.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინდა ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა წინამდებარე დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკაკი წერეთლის სახელობის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა ემსახურება გონიერი, ჯანსაღი და თავისუფალი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას. სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს მოსწავლეების აზროვნების განვითარებას, წიგნიერი, სამართლიანი, კომუნიკაბელური, ტოლერანტული თვისებებისა და ზნეობრივად განვითარებული პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, რაც მომავალში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარია.

2. აქვე სკოლის მისიაში ვკითხულობთ, რომ სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება, რასაც სკოლასთან ერთად ახორციელებს გოეთეს ინსტიტუტი. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს სკოლის კურსდამთავრებულების ინტეგრირებას ევროპულ/გერმანულენოვან სამყაროსთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ემზადებოდა ,,FiT" სტატუსიდან DSD" სტატუსის მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მზაობას ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტეგრაციას საერთაშორისო სივრცეში. სკოლის ხედვას ასევე წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეთა განვითარების უზრუნველყოფა. ექსპერტთა ვიზიტის დროს საგაკვეთილო პროცესში მუდმივად გამოიყენებოდა კომპიუტერული ლაბორატორიები, ხოლო მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს, მათ მიერ აღინიშნა, რომ დიდი სიხშირით იყენებდნენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ასევე ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა საგნისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლის მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ მას აქვს დამკვიდრებული ადგილი და არის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული შესაძლებლობები, გამოთქვამს მზაობას მათ მხარდასაჭერად. აქვე უნდა აღიშნოს, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებებთან, რაც წარმოაჩენს მის ხედვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდივიდუალურ მიდგომებისა და სასკოლო სასზოგადოებისთვის შესაძლებლობების მხარდაჭერის კუთხით. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლობის მემორადუმები პროფესიულ სასწავლებელ ,,იბერიასთან“ და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრისთვის ინტეგრაციის წინაპირობას სკოლის მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ყველა სტრუქტურული ორგანო, რომელიც აქტიურად ჩართულია სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესში. სკოლის პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, (რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი ფორმატით, წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს) სკოლის დისციპლინური კომიტეტი. სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და დირექციასთან ინტერვიურებით კი დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები მუშავდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სწორედ ვიზიტის დროს მიმდინაროებდა მომდევნო სასწავლო წლისთვის მზადება და მშობლებთან და მასწავლებლებთან გამოკითხვები, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით. მკაფიოდ იგრძნობოდა სკოლის თანამშრომელთა გუნდურობა, კათედრებთან ინტერვიურების დროს ჩანდა ერთმანეთთან თანამშრომლობისა და გუნდურობის განცდა, გასათვალისიწინებელია სკოლის დიდი მასშტაბი და თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა.

4. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია გუნდი, რომელიც კონკრეტულად სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ჯგუფში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია წარმოდგენილი, რომელიც ჩართულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის თანმდევ პროცესებში. სკოლასთან ინტერვიურების დროს სკოლის დირექია, ფიქრობს, რომ ყველა ის რეკომენდაცია თუ უკუკავშირი, რომელსაც მიიღებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან გაზიარებული იქნება მომდევნო წლის აღნიშნულ დოკუმენტებში.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობა სკოლის შიგნით იყო ხელმისწვდომი. დირექციასთან ინტერვიურების დროს მათ წარმოგვიდგინეს სხვადასხვა სტრატეგიები აღნიშნულის მეტი საჯაროობის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მაგალითად, დამუშავების პროცესშია სკოლის ვებ-გვერდი და მისი დასრულების შემდეგ ყველა მსურველს ექნება საშუალება მისი გაცნობის. ვიზიტის პერიოდში, სკოლის მისია, ხედვა და ღირებელუბებეი გამოკრული იყოს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და გაზარებული იყოს სკოლის Facebook გვერდზე.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს. დაწესებულება ეწევა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიაობას, რაც „სკოლის“ სახით აღნიშნულია მის დასახელებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები;*
- *პროფესიულ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N8;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-55 მისიის, ხედვასა და ღირებულებების შემუშავებაზე გუნდის შექმნის შესახებ;*
- *სკოლის სოციალური გვერდი;*
- *გერმანიის ელჩის მოადგილის ტანია ჰუტის წერილი.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს იმ ნაბიჯებს/ციკლურობას, რომელიც აუცილებელია სკოლის სტატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. ამავდროულად, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექნილია სტრატეგიულ დოკუმენტებზე მომუშავე გუნდი, რომელსაც შემუშავებული აქვს დებულება. ასევე სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი (27.06.2022), რომელშიც განხილულია აღნიშნული დოკუმენტები. სკოლის დირექცია თვლის, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის აუცილებელია, გაიზარდოს ჩართულობა უფრო მეტად სასკოლო საზოგადოების და მზაობას გამოხატავს შესაბამისი ნაბიჯების გადასადგმელად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. წარმოდგენილ 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, სკოლის მიერ გამოყოფილი პრიორიტეტებია: სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლის ახალი კულტურის ჩამოყალიბება, ხოლო პრიორიტეტებს შორის განაწილებული მიზნებია: ოპტიმალური და ეფექტური სასკოლო სტრუქტურის შექმნა, ადამიანური რესურსის ეფექტური მართვა, ფინანსური და მატერიალური რესურსის მართვის ხარისხის გაუმჯობესება, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემის სრულყოფა და გაუმჯობესება, სკოლის კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება, პოზიტიური ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, დამატებითი განათლების უზრუნველყოფა; სკოლის იმიჯის გაზრდა, მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება განხორციელება, მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანებით შესაძლოა ითქვას, რომ სკოლას მზაობა აქვს მომდევნო სასწავლო წლისთვის დასახოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის მოსამზადებელი სამუშაოების, დაგეგმის ფაზებს სრულად აკმაყოფილებს გაწერილი ამოცანები, ამავდოულად, სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ცხადად ჩანდა, რომ აღნიშნულისთვის მზაობა და მზადება უკვე დაწყებულია სკოლაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს სტატეგიულ გეგმაში გამოტანილი ზოგიერთი მიზნისკენ სწრაფვა უკვე დაწყებული იყო და ინტერვიურებით კიდევ მეტად იგრძნობოდა დოკუმენტის გაუმჯობესება/განვითარების მზაობა.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანებიდან კარგად ჩანს, რომ სკოლა განვითარებაზეა ორიენტირებული, გამოწვევებზე ხმამაღლა საუბრობს და ცდილობს უპასუხოს შესაძლებლობის ფარგლებში. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტატეგიულ გეგმასა და თვითშეფასებას. საავტორიზაციოდ წარმოდგენილ თვითშეფასებაშიც კარგად ჩანს სკოლის დამოკიდებულება განვითარებასა და დოკუმენტის მეტად დახვეწის მზაობაზე.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- ✓ სასკოლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ✓ სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავების განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.
- ✓ თითოეული მიმართულებით ჩაშლილია ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

პასუხსიმგებლობა დელეგირებულია მთელს სასკოლო საზოგადოებაზე, რაც სკოლის მაღალ თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *სტატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი;*
- *სკოლის დებულება;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-55 მისიის, ხედვისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *სკოლის სტატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სკოლის სამოქმედო გეგმა*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი იყო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ზოგადი ჩარჩო და დაგეგმარების ცხრილი. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დირექტორის მოადგილის შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია, მისი ვალდებულება - მონიტორინგი აღნიშნულ პროცესებზე. თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული მონიტორინგის ფორმები და გზები. ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლის სტატეგიული განვითარების გეგმას ითახმებს სამეურვეო საბჭო, რომელიც თავისი ფორმატით შედგება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმში N8-ში ერთ-ერთ საკითხად აღნიშნული დოკუმენტის შესახებ ანგარიში-მოხსენებაა წარმოდგენილი. სტრატეგიული დაგეგმვის ცხრილში განსაზღვრულია თვეების მიეხდვით განსახორიელებელი აქტივობები. რომელიც ასევე მოიცავს SWOT ანალიზს, ასევე სასკოლო საზოგადოებისა და თემის საჭიროებების შესწავლას. არგუმენტირებული პასუხის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი სადაც უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული მონიტორინგის ფორმები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულია დაკვირვება. მონაცემთა ტრიანგულაციისათვის, საჭიროა მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ხერხების გამოყენება. სასურველია თუ დაწესებულება გარდა დაკვირვებისა, გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან საშუალებებს. ისეთებს როგორიცაა: ინტერვიუ, გამოკითხვა, დოკუმენტების შესწავლა და ა.შ.

2. სკოლის მიერ, სტრატეგიულ თუ სამოქმედო გეგმაში, წარმოდგენილი ამოცანები, ვიზიტის დროს, ორივე დღის განმავლობაში, მიმდინარე პროცესების სახით გხვდებოდა. ვიზიტისას სკოლაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, ცხადად ჩანდა სასკოლო ცხოვრების მახასიათებლები: მშობელთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სხვადასხვა ღონისძიებები და სხვა. სკოლას ჰყავს საკმაოდ ძლიერი ადამიანური რესურსი, რომლის უკუკავშირზე დაყრდნობითაც თავისუფლად არის შესაძლებელი მონიტორინგის და შეფასების მოქნილი სისტემის შექმნა. სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ის დირექტორის ბრძანება, რომელშიც გათვალისიწნებულია სასკოლო საზოგადოებისს წევრებისგან შექმნილი გუნდი, იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ჩანს მათი დამოკიდებულება სკოლის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული განვითარებას სწორედ უკუკავშირზე დაყრდნობით შეძლებს. წარმოდგენილ სტატეგიული დაგეგმარების ცხრილში გაწერილია აქტივობები (სულ 6 აქტივობა:) და ორი კვარტალი აქტივოებების შესრულების განსაზღვრულ თარიღად, სექტემბერი სწორედ სკოლის მისიის ხედვისა და სტრატეგიის დოკუმენტის სამეურვეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად არის გასაზღვრული.

3. სკოლამ წარმოადგინა სამეურევო საბჭოს ოქმი N8, რომელშიც სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს მოხსენება/ანგარიშს სკოლის სტატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შესახებ. ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლის ვებ-გვერდი შექმნის პროცესშია ქუთაისის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ვებ-გვერდს ქმნიან თავად სკოლის მოსწავლეები, რის შემდეგაც უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება სკოლას დოკუმენტის საჯაროობის.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ მათი შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მაგალითად, სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია მიმართულება - „სასწავლო პროცესისი ხარისხის ამაღლება“. სკოლამ მისი ძლიერი მხარე უცხო ენების სწავლების კუთხით უფრო მეტ შესაძლებლობად აქცია და გახდა გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების კანდინატი სკოლა (DSD წევრი სკოლა). ამავდროულად, სამეურვეო საბჭოს ფორმატი და აქტიური ჩართულობა მათი ვალდებულებების ფარგლებში უფრო მეტად აძლევს სკოლას შესაძლებლობას შესრულებული სამუშაოს შედეგებით განვითარებისთვისა და გაუმჯობესებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- *სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8;*
- *სკოლის დირექტორის მოადგილის შრომითი ხელშეკრულება;*
- *სტატეგიული დაგეგმარების ცხრილი*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შიდა დოკუმენტაციით. სკოლაში არის: დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორის 4 მოადგილე და ბუღალტერი. სკოლას ასევე ჰყავს ადმინისტრატორი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი; სკოლაში ფუქნციონირებს პედაგოგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბჭო, რომელშიც გაწევრიანებულია 136 მასწავლებელი (განაწილებულნი არიან 8 კათედრაზე). მათგან 84 მასწავლებელი 2022-2023 სასწავლო წელს ასრულებდა დამრიგებლის ფუნქციასაც. სკოლას ასევე ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლაში ასევე დასაქმებულნი არიან: 1 ექიმი, 7 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, 1-მუშა, 6 მანდატური; სტრუქტურული ერთეულების და დასაქამებული პირების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შესაბამისი სტრუქტურების დებულებებში და თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

2. სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებებისა და დებულებების საფუძველზე. ყოველი სემესტრის ბოლოს, სკოლის დირექტორს წარედგინება ანგარიშები, სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს გააუმჯობესოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ხარისხის მართვის მექანიზმები. 2023 წლის ივნისის ბოლომდე, სკოლას დაგეგმილი აქვს შექმნას სტრუქტურული ერთეულების და თანამდებობრივი ინსტრუქციების ერთიანი დოკუმენტი. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად და ხარისიხანად წარმართვისათვის, კარგი იქნება თუკი სკოლა შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *პედსაბჭოს დებულება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *2020-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *პროფესიული განვითარებისა და კარიერული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *მუზეუმის დებულება;*
- *დისციპლინური კომიტეტის დებულება;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *კათედრის დებულება;*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სადაც გაწერილია ის პროცესები, რომლებიც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის გაცნობას თანამშრომლები ადასტურებენ ხელმოწერით. დოკუმენტი გამოკრულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე), ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში შემუშავებული მექანიზმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოსთვის, სკოლა გეგმავს შეიმუშავოს პერსონალის მართვის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი. თანამსრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებით, შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით პირად საქმეებში ყველა წარდგენილი დოკუმენტი წესრიგში იყო, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აკლდა: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამაღთლეობის ცნობა.

2. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის და სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტების შესაბამისად. სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანს წარმოადგენს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება. აღნიშნული ასახულია სკოლის ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში, ხოლო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხელს უწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას. სკოლა მნიშვნელოვნად მიიჩნევს მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების და პროცედურების, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულყოფას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის, სკოლა გეგმავს შეიმუშავოს ახალი მისია, ხედვა, შვიდწლიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. ასევე სკოლას განზრახული აქვს სრულყოს სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას ასევე დაგეგმილი აქვს სწავლის პროცესის ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის გაძლიერება, ადამიანური რესურსის, პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა. სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება, განახლება და დახვეწა. სკოლის დირექტორი, სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოსთან წარადგენს ერთწლიან და ექვსწლიან (მომავალში შვიდ წლიან) სამოქმედო გეგმებს, განხილვებისა და მიღებული უკუკავშირის შედეგად აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცდება სამეურვეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბჭოს მიერ. სკოლის მიერ წახალისებული და მხარდაჭერილია თანამშრომელთა და მოსწავლეთა შემოქმედებითობა და ინოვაციურობა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, რითაც დაწესებულება ქმნის სივრცეს წარმატებული გამოცდილების გაზიარებისათვის. სკოლის წარმომადგენელთა შეფასებით, თანამშრომლობის კულტურა, გუნდურობა და ფუნქციათა დელეგირება წარმოადგენს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ძლიერ მხარესა და დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისა და რეალიზების საშუალებას. სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა და შინაგანაწესის შესაბამისად, კონკურსის წესით, ხდება ახალი კადრების მოზიდვა და დასაქმება. სკოლაში მოქმედებს შემცვლელი და მაძიებელი მასწავლებლის პრაქტიკა. სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სკოლაში გაიარონ პედაგოგიურ პრაქტიკა. 2022-2023 სასწავლო წლის ბოლომდე, სკოლას დაგეგმილი აქვს შეიმუშავოს დასაქმების პოლიტიკისა და პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოს მისი ფუნქციების დელეგირება სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშავოს აღნიშნული გეგმა, მისი დოკუმენტური მტკიცებულება ექსპერტებთან არ იყო წარდგენილი, სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელია სკოლამ შეიმუშავოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და დაამტკიცოს კანონმედბლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის სექტემბრის თვეში. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.*

3. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის დებულება. კადრების შერჩევა ხდება საჯაროობის პრინციპების დაცვით: ვაკანსია ცხადდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ელექტრონულ ვებგვერდზე (https://teacherjobs.ge/). კანდიდატების შერჩევას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტები.

4. სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის პედაგოგის შესარჩევი კონკურსის დებულება“. სკოლას, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლის თანამშრომელი. კონკურსის ჩატარებამდე, სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ვებ-გვერდზე საჯაროდ აქვეყნებს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი. მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებით, შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისობა მათ მიერ დაკავებულ პოზიციასთან. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებების კვალიფიკაცია და დადებული შრომითი ხელშეკრულება, შეესაბამება კანომდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სკოლას ჰყავს დირექცია და სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედის 6 მასწავლებლი, 6 მშობელი და მოსწავლე. სკოლაში ასევე შექმნილია: პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნულ ერთეულებს შორის განაწილებულია ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია კონკრეტულ პროცესზე. პედაგოგები დახმარებას უწევენ ერმანეთს პროფესიულ განვითარებაში. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. როგორც საგნობრივი კათერის წევრებს, ასევე სხვადასხვა კათედრებს შორის ჩამოყალიბებულია ანაგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის სისტემა. სკოლის მხრიდან წახალისებულია მასწავლებელთა ინიციატივები, რაც გამოიხატება როგორც პროექტების ხელშიწყობითა და განხორციელებებით, ასევე წახალისების სხვადასხვა ფორმის გამოყენების გზითაც.

6. სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ თემთან, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულბებთან, არასამთავრობო სექტორთან, რაც ხელს უწყობს ტანამშრომელთა პროფესიულ ზრდას და სკოლაში და მის გარეთ სხვადახვა პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას. სკოლის თანამშრომლებს შორის აქტიურად მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შექმნილ რესურსებს, გაკვეთილის გეგმებს, სასწავლო პროექტებს. ზოგიერთი მასწავლებელი არის ბლოგის ავტორი. გამოცდიელბის გაზიარება ხდება არა მხოლოდ სკოლის სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მასწავლებლები აქვეყნებენ სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში (Youtube, facebook) და ა.შ. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სასწავლო და სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ აქტივობებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი;*
- *თანამშრომელთა ხელშეკრულებები;*
- *გამოცხადებული კონკურსის მასალები;*
- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *შესაბამისობის გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერსონალის განვითარების პროცესს, როგორც პროფესიული და კარიერული ზრდის, ასევე სკოლის ბაზაზე ეფექტური თანამშრომლობის, ურთიერთგაზიარებისა და სკოლის განვითარების დინამიკურობის კუთხით. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით. სკოლის ბაზაზე სისტემატურად იმართება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების, საგნობრივი კათედრების წევრთა შეხვედრები, სადაც ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავენ აქტუალურ პრობლემებს, და ერთობლივი ძალებით გეგმავენ ინტერვენციებს. სკოლა თანამშრომლობს "USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამასთან", რომლის ფარგლებშიც ექსპერტები მოდიან სკოლაში (ლიდერ მასწავლებლებთან და დირექტორთან ერთად), აკვირდებიან გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. ამავე პროგრამის ფარგლებში, ხდება დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის და მეთემატიკის მასწავლებლების გადამზადება.

2. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში USAID-ის დაწყებითი განათლების პროგრამის „ქოუჩები" გაკვეთილების შესაფასებლად იყენებენ ტანჯერინის პროგრამაში ჩაშენებულ კითხვის და მათემატიკის გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებს. აღნიშნული პროგრამა მომავალი სასწავლო წლიდან გადაეცემა სკოლის დირექტორს. სკოლა გეგმავს, აღნიშნული პროგრამა კვლავ გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესის შესაფასებლად. შემდეგ გააანალიზოს საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი საკითხები და განიხილონ მასწავლებელთა მცირე სასწავლო ჯგუფებში. დასახონ, გადაჭრის ალტერნატიული გზები და ეს მონაცემები გითვალისწინონ მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავებისას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, სკოლა იყენებს მასწავლებელთა რეფლექსიებს ჩატარებულ აქტივობებზე და საგნობრივი კათედრების ოქმებსა და ანგარიშებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სადაც წარმოდგენილია მათი საჭიროებები. მასწავლებელთა პროფეიული საჭიროების დასადგენად, ყოველი წლის დასაწყისში სკოლა აგზავნის კითხვარს, სადაც მასწავლებლები აფიქსირებენ პროფესიული ზრდისთვის თავიანთ საჭიროებებს. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადახვა გზებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარედან შემოთავაზებული სერვისებით. შიდა განვითარების ფორმად სკოლა იყენებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებისა და კათედრების სამუშაო შეხვედრებს. ასევე სკოლაში არიან ზოგადი განათლების რეფორმის საგნობრივი ექსპერტები და ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის კოორდინატორები, რომლებიც მართავენ სემინარებს და ტრენინგებს. სკოლის გარედან შეთავაზებული პროფესიული განვითარების ფორმად სკოლა იყენებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ საგნობრივ და მეთოდურ ტრენინგებს, რომლებზედაც მასწავლებლები რეგისტრირდებიან სურვილისა და საჭიროების მიხედვით.

3. სკოლას აქვს საკუთარი ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების დადგენასა და პროფესიულ განვითარებას. სკოლაში წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. სკოლაში დანერგილია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი. სკოლაში მომუშავე ზოგადი განათლების რეფორმის ქოუჩები და კოორდინატორები კოლეგებს უწევენ მეგზურობას და ხშირად აწყობენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს. სკოლას შედგენილი აქვს გაკვეთილზე დასწრების განრიგი და ყოველი გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი იღებს უკუკავშირს.

4. სკოლის წარმოამდგენლის განცხადებით, სასკოლო საზოგადოება ეხმარება ახალ თანამშრომელს გაუადვილდეს ადაპტაციის პროცესი. მისი მიზანია, სკოლის ყველა თანამშრომელი აქციოს ერთიანი ოჯახის წევრად და შეუქმნას სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა; მასწავლებლის მხარდაჭერისა და პროფესიული გაძლიერებისთვის, სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მენტორი, წამყვანი და უფროსი მასწავლებლები მუდმივად უწევენ ფასილიტაციას ახალ თანამშრომლებს (პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომაზე ხდება ახალი კადრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარდგენა და მათთვის სასკოლო კულტურის გაცნობა), რათა ისინი გაეცნონ სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, ტრადიციებსა და სწრაფად მოხდეს სასკოლო კულტურასთან მათი შეგუების პროცესი, სოციალიზაცია. 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოსთვის, სკოლა გეგმავს შექმნას დოკუმენტი, რომელშიც, გაწერილი იქნება სასკოლო საზოგადოებასთან ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურები.

5. მასწავლებლები ჩართული არიან პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს სკოლაში მომუშავე თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე. დაწესებულების წარმოამდგენლის განცხადებით, სკოლა მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების შესახებ. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. აღნიშნული ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვასთან ერთად, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება და სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად. ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, მასწავლებელთა ინიციატივით გეგმავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების მოძიება და შეთავაზება, მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის მქონე სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა იყენებს დასაქმებულის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმას. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებული იყოს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს დირექტორის მოადგილის, შესაბამისი საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *Teams-ის პლატფორმაზე გამართული შეხვედრები;*
- *სამუშაო შეხვედრების ოქმები;*
- *ბრძანება 2-475 01.12.2020 პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნაზე;*
- *მასწავლებელთა სერტიფიკატები;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის საგანმანათლებლო პროცესის, მისი მართვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, რაც ასახულია ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში (და აისახება შვიდ წლიანშიც). სწორედ ამ მიზნის შესრულებისკენ არის მიმართული სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაც, ამისათვის მნიშვნელოვანია მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების/პროცედურებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულყოფა, სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის დახვეწა და მისი დანერგვის ხელშეწყობა, სკოლაში სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის გაძლიერება, ადამიანური რესურსის, პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება, განახლება/დახვეწა და სხვა. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, ეფუძნება პროცესურ მიდგომას და ხორციელდება სკოლაში განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის შემადგენელი სტრუქტურული ერტეულების დებულებები და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 07 სექტემბრის N1 პედსაბჭოზე. ყოველ ახალ სასწავლო წელს სკოლა სამეურვეო საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარადგენს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმისაგან. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, მომავალი სასწავლო წლისათვის უნდა შემუშავდეს ახალი მისია და ხედვა, რისთვისაც აუცილებელია უკვე შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება. მისი განცხადებით, ეს პროცესი უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია. სკოლის საგნობრივი კათედრები შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმს, რომელიც სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილი იქნება და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ დამტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი იქნება სხვა ამოცანებთან ერთად იმ დოკუმენტების შექმნის ვადები, რომლებიც შინაგანაწესთან და არსებულ დებულებებთან ერთად საშუალებას მისცემს სკოლას სრულყოფილად განახორციელოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ყველაფერი ეს კი უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

3. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით სკოლა ღიაა ნებისმიერი მოსწავლის, მასწავლებლისა თუ მშობელის მოსასმენად, თუმცა პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ ეტაპამდე სკოლის არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. საჯარო სკოლის წესდებით განსაზღვრულია სააპელაციო კომიტეტის შექმნის შესაძლებლობა, თუმცა 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლას აღნიშნული არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოუყენებია. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებულია გასაჩივრების უფლება, ვადები და ინსტანცია, სადაც შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება.

4. სკოლის, ასევე პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში. თვალსაჩინო ადგილას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვე საბჭო, პედაგოგიური საბჭო. თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ყლფებები და მოვალეობები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი;*
- *2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები;*
- *სკოლის ექსვწლიანი სტრატეგიული გეგმა.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას Facebook-ზე შექმნილი აქვს გვერდი, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით. ასევე კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ „მესენჯერის“ ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან სადამრიგებლო კლასის მშობლები. ასევე შექმნილია მშობლებისა და მოსწავლეების დახურული ჯგუფები, რომლებსაც იყენებენ ინფორმაციის სწრაფად მიწოდებისთვის. დაწესებულების წარმომადგენების განცხადებით, სკოლაში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით და ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში მათი ინტერესი იყოს გათვალისწინებული. სკოლას ასევე აქვს ელ. ფოსტა, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მისწეროს წერილი. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ასევე ქვეყნდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, რომლის საშუალებითაც სკოლის საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია.

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. აღნიშნული ერთეულის უფლებებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელშიც გაწერვიანებული არიან სკოლის პედაგოგები, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაწერვიანებული არიან სკოლის მოსწავლეები. სტრუქტურული ერთეულების უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და სკოლის შიდა რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას სკოლის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ჩართული არიან სკოლის ცხოვრებაში, ისინი წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ორი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა 2 საქველმოქმედო აქცია. სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს მშობელთა ჩართულობას მეორე უცხო ენის შერჩევის დროს. მისი თქმით, სწავლების დაწყებამდე სამიზნე კლასების მშობლებთან, პარალელების მიხედვით, ტარდება მშობელთა კრებები, სადაც შეთავაზებული ვარიანტებიდან მშობლები ირჩევენ სასურველ ენას, რომელსაც მათი შვილები შეისწავლიან, როგორც მეორე უცხო ენას. სკოლის აზრით მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა ბევრად უფრო გაიზრდება, რადგან სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტში „დემოკრატია იწყება სკოლიდან“. ეს პროექტი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს და მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფს. გათვალისწინებულია მშობელთა და მოსწავლეთა იდეები, მოსაზრებები, ისინი ჩართული არიან სკოლის მართვაში, იღებენ გადაწყვეტილებებს. სკოლის აზრით ეს პროექტი მეტად დემოკრატიულს სკოლაში მიმდინარე პროცესებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები;*
- *სტრუქტურული ერტეულების შეხვედრის ოქმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, უზრუნველსაყოფად, სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არიან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უზრუნველყონ უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით (დერეფნები, სკოლის შემოსასვლელები და გასასვლელები). სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგების განრიგი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. მორიგეები გაკვეთილებს შორის პერიოდში აწესრიგებენ მოსწავლეების ნაკადს დერეფანში, ხოლო გაკვეთილების მიმდინარეობისას აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლეთა გაცდენის მიზეზი და უნებართვო გაცდენის შემთხვევაში, სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით, აცნობოს დირექციას. შედეგად, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა ცდილობს შეასრულოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები. სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში დამონტაჟებულია საევაკუაციო გზებზე მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი განვითარებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მომავალში სკოლას გადაწყვეტილი აქვს რომელიმე თანამშრომელს გაატაროს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, თუმცა ვიზიტის დროს ასეთი შტატი სკოლას არ ჰქონდა. ასევე სკოლას დაგეგმილი აქვს შეიქმნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა (ვიზიტის დროს არც ეს გეგმა იყო შექმნილი) საგანგებო რეაგირების შტაბი, სადაც განაწილებული იქნება ფუნქციები. სკოლას განსაზღვრული უნდა ჰყავდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს ან უზრუნველყოფს მათ შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2024 წლის მარტის ბოლომდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს: დირექტორის ბრძანებით საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნა; სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცება; შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მოთხოვნა; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღების უზრუნველყოფა.*

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიაზე. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა მოხვედრის კონტროლის მიზნით, სკოლაში მიმდინარეობს ვიზიტორთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეგისტრაცია და საშვის გაცემა. რეგისტრაციის ჟურნალში ხდება ვიზიტორის სახელის გვარის, პირადი ნომრის, ვიზიტის ადრესატის ჩანიშვნა, მას გადაეცემა სპეციალური „ბეიჯი“, რომლითაც გადაადგილდება შენობაში. აკრძალული ნივთებით სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება აკრძალულია. სკოლას ჰყავს 6 მანდატური, რომლებიც ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ამ საქმეში მათ ეხმარებიან მორიგეები, რომლებიც განაწილებული არიან სკოლის ყველა დერეფანში. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. სკოლა თავის მხრივ სასკოლო რეგულაციების შესაბამისად რეაგირებს მათზე. სასურველია სკოლამ დოკუმენტურად შეიმუშავოს ზემოაღნიშნული მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება აღნიშნული პროცედურები.

3. დაწესებულების წარმოამდგენლების თქმით, მათი მიზანია დროულად ამოიცნონ ბავშვთა საჭიროებები და მოახდინონ მათზე ჯეროვანი რეაგირება, დროულად გამოავლინონ ძალადობის ნიშნები. ამისათვის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც ევალება, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, მოსწავლეები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ღიად საუბრობენ პრობლემებსა და გამოწვევებზე, ასევე ერთად იზიარებენ მიღწევებსაც, რაც მხარდაჭერილია მასწავლებლების მიერ და არ ქმნის დისკრიმინაციისა და გარიყვის საფუძველს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითგამოხატვას.

4. ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებით გამოჩნდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საპირფარეშოებში განთავსებულია საპონი, სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით. დამლაგებლებს დასასუფთავებლად გამოყოფილი აქვთ კონკრეტულად განსაზღვრული ტერიტორიები. სივრცეების დასუფთავება ხდება გაკვეთილების მიმდინარეობისას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ორცვლიანია, ცვლებს შორის არის ნახევარსაათიანი ინტერვალი, რათა მეორე ცვლის მოსწავლეებს დახვდეთ დასუფთავებული სასკოლო სივრცე. რეგულარულად ხდება სან-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მათ შესანახად გამოყოფილია სპეციალური სივრცე.

5. სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლის მიერ ინფორმაციის გაცემისას, ხდება პირადი მონაცემების შესაბამისი წესით დაფარვა (საჭიროების შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მიმდინარე აქტივობების საზოგადოებისათვის მიწოდებისათვის, ხშირად იყენებენ სოც. ქსელს, სადაც განათავსებენ ხოლმე სხვადასხვა აქტივობების ფოტო და ვიდეო მასალას. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ ფოტო და ვიდეო მასალაზე აღბეჭდილი მოსწავლეების მშობლებისგან სკოლას მიღებული აქვს თანხმობები.

6. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საინფორმაციო აქტივობებს ახორციელებენ სკოლის ისტ-ის მასწავლებლები, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი და IT მენეჯერი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მომავალი სასწავლო წლიდან აღნიშნულ თემასთან მიმართებით იგეგმება საინფორმაციო ბროშურების დამზადება და სასკოლო საზოგადოებაში გავრცელება. ასევე კიბერ უსაფრთხოებასთან, კიბერ სივრცეში უსაფრთხო ქცევის ნორმებთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშრებით კლასებში იგეგმება სადამრიგებლო საათის ჩატარდება და მშობელთა კრებები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოებიის ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს საინფორმაციო შეხვედრებს ამ დარგის მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით. ასევე იგეგმება, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობით, მომავალი სასწავლო წლიდან შემუშავდეს (საფეხურების მიხედვით) ციფრულ სამყაროში ქცევის წესები, რომლებიც საფუძვლად დაედება ეთიკური ნორმების დაცვის გზამკვლევის შემუშავებას.

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე მონიტორინგს ახორციელებენ სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები. სკოლის შენობა-ნაგებობის დაცვისა და ვიზიტორთა რეგისტრაციის მიზნით სკოლას ელექტრონული ტენდერით გამოვლენილ კომპანიასთან - „შპს საკუთრების დაცვის სამმართველო პირველი“ - დადებული აქვს ხელშეკრულება. უსაფრთხოების მიზნით სკოლას შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობა ცვლიანობის, კორპუსებისა და სართულების მიხედვით. მათგან მიღებულ ინფორმაციას წლის ბოლოს სკოლა წარადგენს მრჩეველთა საბჭოზე დირექტორის ანგარიშის სახით. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სკოლა გეგმავს გააუმჯობესოს უსაფრთხოების მექანიზმის ნორმები. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, საგანგებო სიტუაციების სამსახური პერიოდულად ახორციელებს სკოლის მონიტორინგს, და აძლევს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხდება სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორის ბრძანება;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;*
- *ხელშეკრულება დამლაგებელთან;*
- *რეფერალთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები;*
- *რეფერალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;*
- *უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ბრძანება;*
- *ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;*
- *მრჩევეთა საბჭოს შექმნის ბრძანება;*
- *ხელშეკრულება დაცვის პოლიციასთან;*
- *შესაბამისობის გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. ფიზიკის ლაბორატორია დიდი, ნათელი ოთახია, განთავსებულია ფიზიკის კაბინეტის გვერდით, აქვს ცალკე შესასვლელი კარები, ასევე შიდა კარი, რომლითაც საკლასო ოთახში შესვლაა შესაძლებელი. ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიაში მრავლადაა წარმოდგენილი ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები. რომლებიც ინახება სპეციალურ დახურულ კარადებში, ცალკეულ თემატურ სექციებად. მაგ: ცალკე სივრცე აქვს დათმობილი ელექტრო ხელსაწყოებს. მათგან იზოლირებულად ინახავენ მინისა და ოპტიკურ ხელსაწყოებს. ლაბორატორიაში ასევე წარმოდგენილია წინა წლების ფიზიკის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგნობრივი ლიტერატურა. ლაბორატორიაში განთავსებულია კათედრა, რომელზეც ხდება ლაბორატორიაში დაცული ხელსაწყოების წინასწარი მომზადება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგაკვეთილო პროცესისათვის. ცდებისა და ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსების გადატანა საკლასო ოთახში ხდება საჭირო დროს შიდა კარის გავლით. საკლასო ოთახში დამონტაჟებულია ონკანი და ხელსაბანი ჰიგიენური წესების დასაცავად. ლაბორატორიაში დაცული ინვენტარის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეებს ფიზიკის საგნისადმი დაინტერესებაში, ფიზიკური მოვლენების სიღრმისეულ გააზრებაში, ექსპერიმენტების ჩატარებაში, პრეზენტაციების მოწყობაში, რასაც მივყავართ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებამდე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებიც ერთ სივრცეშია განთავსებული და შიდა კარით საკლასო ოთახს უკავშირდება. საკლასო ოთახში დამონტაჟებულია ჰაერის გამწოვი სპეციალური მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლისა და მასწავლებლის უსაფრთხო სასწავლო გარემო, თუმცა იგი დაზიანებულია - გაბზარულია გამწოვი მოწყობილობის ქვედა სადგამი მინა, რაც საფრთხეს წარმოადგენს და გამოუყენებელს ხდის მას. ამის გამო გამწოვ მოწყობილობას არა აქვს გამწოვი მილი. შესაბამისად, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ქიმიის კაბინეტში ამ ეტაპზე მხოლოდ ისეთი უსაფრთხო ქიმიური რეაქციების ჩატარებაა შესაძლებელი, როგორიცაა მაგ. ძმრისა და სოდის ურთიერთქმედება. გამწოვი კარადა საჭიროებს შეკეთებას. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია საექსპერიმენტო კათედრა, რომელიც მოძველებულია და მისი ზედაპირი რამდენადმე დაზიანებულია. შესაბამისად, საჭიროა მისი გამოცვლა და ახლით ჩანაცვლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრა დიდ დროს არ მოითხოვს და უახლეს მომავალში გადაიჭრება აღნიშნული საკითხი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ცალ-ცალკე სივრცეშია დაცული ქიმიისა და ბიოლოგიის ინვენტარი. ქიმიური ნივთიერებები, ლაბორატორიული ჭურჭელი (სინჯარები, კოლბები, სადგამები, სპირტქურები, დამჭერები და ა.შ.), მიკროსკოპი, მუდმივი პრეპარატები, ადამიანის ორგანოების მულაჟები და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები. პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ ახალი ქიმიური ნივთიერებების შეძენა სკოლას პანდემიის შემდეგ არ მოუხდენია, რადგან მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით ცდებსა და ექსპერიმენტებს ვერ ატარებდნენ. ზოგადად, ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის აღწერა ხდება ყოველწლიურად. მომავალი სასწავლო წლისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები კათედრის სხდომაზე იღებენ გადაწყვეტილებას და მიმართავენ დირექციას შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმილი აქვთ ქიმიური ლაბორატორიისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ახალი ნივთიერებების შეძენა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის განახლება, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. ლაბორატორიაში დაცული ქიმიური ნივთიერებების ნაწილი უკვე დაძველებულია და საჭიროებს უტილიზაციას. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში არსებული საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო სასკოლო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მომავალი სასწავლო წლისთვის სრულად იქნება ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მათ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 10 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მდგომი ჰაერის გამწოვი სპეციალური მოწყობილობის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.*

2. სკოლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. მისი ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი პირისთვის. სკოლაში განსაზღვრულია სხვადასხვა რესურსით სარგებლობის წესები (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, მუზეუმი და ა.შ.). სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიები განთავსებულია შესაბამისი საკლასო ოთახების გვერდით და შიდა კარებით უკავშირდება მათ. სპეციალურად მოწყობილ კათედრებზე შესაძლებელია წინასწარ დაგეგმილი სასწავლო პროცესების შესაბამისად განხორციელდეს ექსპერიმენტები და სადემონსტრაციო ცდები, რომელთა მიმდინარეობაშიც აქტიურად იქნებიან მოსწავლეები ჩართული უსაფრთხოების წესების დაცვით. ასევე, შესაძლებელია ლაბორატორიაში დაცული მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებისა და მულაჟების გამოყენება, რაც სრულად არის ხელმისაწვგომი თითოეული მოსწავლისათვის, ლაბორატორიაში ქცევის წესების დაცვის გამოყენებით.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას აქვს პანდუსი. აქვს რამდენიმე შემოსასვლელი კარი, რომელიც პირდაპირ შედის სკოლის შენობაში. ვიზიტის დროს, სკოლაში არ იყო მოწყობილი ადაბტირებული სველი წერტილი ეტლით მოსარგებლე პირთათვის. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე უკვე დაწყებულია მუშაობა და სველი წერტილი უახლოეს მომავალში გახდება ადაპტირებული. სკოლას აქვს რესურს ოთახი, დიდი და მცირე სპორტული დარბაზები. სკოლის შენობაში განთავსებულია საკმარისი რაოდენობის მერხი, სკამი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადები, დაფები და სწავლისათვის საჭირო სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მატერიალური რესურსი. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის ოქტომბრის ბოლომდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.*

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ლგამოყოფილია სასწავლო და რეკრეაციული ზონები, რომელთა გამოყენება ყველასთვის ხელისაწვდომია. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სამასწავლებლო, სამკითხველო, სპორტული დარბაზები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მრავალმხრივ აქტივობას. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ბიბლიოთეკაში არის 1035024 ერთეული წიგნი. შემთხვევითი შერჩევის პრონციპით შერჩეული წიგნების დათვალიერების შედეგად, დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰქონდა წიგნების კატალოგი, მატერიალური სახით, თუმცა სკოლის არმოადგენლის განცხადებით, იგეგმება ელექტრონული კატალოგის შექმნა.

5. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო სახელმძღანელოები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად რესურსს, რომელიც ივსება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი გრიფმინიჭებული, სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით. სკოლა ჩართულია გოეთეს ინსტიტუტის პარტნიორ სკოლათა ქსელში, PASCH-ის პროექტში, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან სკოლას აქვს DSD-ს სკოლათა წარმომადგენელის სტატუსი. მე-3; მე-4 კლასებში გერმანული ენის სწავლება ხორციელდება დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით, რომლითაც სკოლას უზრუნველყოფდა გოეთეს ინსტიტუტი. 2023-2024 სასწავლო წლიდან DSD-ს სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით წარიმართება სასწავლო პროცესი. საგნობრივ კათედრაზე მასწავლებელთა ჯგუფები თანხმდებიან და კურიკულუმში, გრიფმინიჭებული და სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსსა და თვალსაჩინოებას, როგორიც არის ელ. საგანმანათლებლო პორტალები https://chemiskola.emis.ge/ http://www.kargiskola.ge/ და USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მიღებული თვალსაჩინოებები. სსსმ მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების სახით სკოლამ შეიძინა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგანმანათლებლო რესურსები და დიდაქტიკური მასალა, რომლებიც განთავსებულია სკოლის რესურს ოთახში. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასკოლო ბიბლიოთეკით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობების ერთ-ერთი მხარდამჭერი და ინიციატორი სწორედ ბიბლიოთეკაში დაგეგმილი და განხორციელებული არაფორმალური აქტივობებია. მისივე განცხადებით, სკოლა მომდევნო სასწავლო წელს გეგმავს ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგის შექმნას, რომელიც განხორციელდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და აღნიშნული მუდმივად შევსებად და განახლებად რეჟიმში იფუნქციონირებს. ბიბლიოთეკის ციფრულ კატალოგს დაეთმობა ვებ-გვერდის კონკრეტული სივრცეც. სკოლაში ასევე არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისათვის საჭირო რესურსები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ასევე, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსებს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით. ფიზიკის ლაბორატორიაში წარმოდგენილია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები, ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, საგნობრივი ლიტერატურა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში. ასევე, ქიმიის ლაბორატორიაც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, (პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვს შესაბამისი ინვენტარისა და რესურსების განახლება), სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ექსპერიმენტები. ლაბორატორიის ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით, რაც საშუალებას იძლევა ჩაატარონ სხვადასხვა კვლევები და ექსპერიმენტები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციის ამაღლებას, კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, რასაც მივყავართ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებამდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *საკადასტრო-გეგმა;*
- *ინვენტარიზაციის აქტი.*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის IT ინფრასრუქტურა ხელს უწყობს სკოლის პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორიები. სკოლის თანამშრომელთა განცხადებით, ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია სკოლიდან ჩაერთოს სხვადასხვა სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ონლაინ შეხვედრაში და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით გამართულ ონლაინ კონფერენციებსა და ვებინარებში. სკოლაში არის პროექტორი და ლეპტოპები. დაწყებითი კლასის ყველა მასწავლებელს აქვს ბუკი, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. სკოლის შენობა უზრუნველყოფილი Wi-fi-ით. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და მასთან დაკავშრებული მოწყობილობები გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების წარმართვისათვის.

2. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ანგარიშისათვის იყენებს სოციალურ გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ელ-ფოსტას, სატელეფონო შეტყობინებებს, ასევე მშობელთა კრებებს. სასკოლო საზოგადოებისათვის სიახლეების გასაცნობად იყენებს სპეციალურ საინფორმაციო დაფებს, ასევე მიმართავს მშობლებთან სატელეფონო კომუნიკაციას, თანამშრომლობს მესენჯერში შექმნილ მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფებთან, იყენებს სკოლის facebook გვერდს, მატერიალური სახით შემოსულ დოკუმენტაციას, რათა უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და მის წინაშე ანგარიშგება. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას გაწერილი აქვს სხვადასხვა ლაბორატორიების სარგებლობის წესი. კარგი იქნება, სამომავლოდ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ ლაბორატორიების, არამედ სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *IT ტექნიკის შესყიდვების დოკუმენტაცია,*
- *ინვენტარიზაციის წიგნი,*
- *Facebook-ზე განთავსებული სკოლის ვებ-გვერდი.*
- *სკოლის ელ. ფოსტა.*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს დადგენილი წესებისა და გამოცემული აქტების შესაბამისად. კორესპონდენციია აღირიცხება აღნიშნული წესების დაცვით. სკოლის საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის. სკოლაში არსებული წესები აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპოდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და ა.შ.

2. სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს (სადაც ხდება გამოცემული ბრძანებების განთავსება და ოფიციალური მიმოწერა) და სკოლის ელქტრონულ ფოსტას kutaisi1@mes.gov.ge. სკოლას facebook-ზე, შექმნილი აქვს საკუთარი პროფილი/გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100075934111788&mibextid=ZbWKwL, ხოლო Teams-ში შექმნილი აქვს ჯგუფები, რომელთა საშუალებითაც მიმდინარეობს კომუნიკაცია მასწავლებლებს, ადმინსტრაციასა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში, ასევე სკოლის თანამშრომლებს მათთვის საინფორმაციო სისტემაში გააქტიურებიული აქვთ საკუთარი პროფილი, რომელშიც აწარმოებენ საკუთარი პროფესიული განვითარების პორტფოლიოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების მიხედვით.

4. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად და საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების ვადები და პროცედურები, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაცია ხდება eflow-ს და სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებთან, კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ელექტრონული ფოსტით kutaisi1@mes.gov.ge

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საქმისწარმოების წესი;*
- *eflow,*
- *eschool,*
- *ამოცემული ბრძანებები,*
- *შემოსული და გასული კორესპონდენციები.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის ინტერნეტ სივრცეში იყენებს სკოლის facebook გვერდს https://www.facebook.com/profile.php?id=100075934111788&mibextid=ZbWKwL. აღნიშნულ სოც. ქსელში განთავსებული გვერდი, დაინტერესებულ პირს, აძლევს შესაძლებლობას მიიღოს სკოლაში განხორციელებული და დაგეგმილი სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. სკოლა გეგმავს კოლეჯ „იბერიასთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით შექმნას სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც იქნება მუდმივად განახლებადი. სკოლა გეგმავს როგორც შემეცნებითი აქტივობების, ასევე სკოლის სტრუქტურის, მიზნების, მისიისა და ხედვის შესახებ ინფორმაციის განთავსებას აღნიშნულ ვებ-გვერდზე. სკოლა მიიჩნევს, რომ აღნიშული პროექტი ხელს შეუწყობს როგორც სკოლის მნიშვნელოვანი პროცესის გაციფრულებას, ასევე მოსწავლეთა ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. სკოლას facebook-ში და Temas- ში შექმნილი აქვს ჯგუფი, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს კომუნიკაცია მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის. ამჟამად სკოლაში ყველა დამრიგებელს შექმნილი აქვს მშობელთა „ჩატები“, რიტაც ხორციელდება მათ შორის კომუნიკაცია. მშობელს აქვს შესაძლებლობა სკოლას კითხვით მომართოს როგორც სკოლის ელ-ფოსტაზე Kutaisi1@mes.gov.ge, ასევე facebook გვერდზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩართულობისათვის ონლაინ სივრცედ ასევე სკოლა იყენებს Teams-ის პლატფორმას. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტის სახით საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილი იქნებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმალური და არაფორმალური საშუალებები. სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს აღნიშნული წესი, რაც სკოლას და სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება კომუნკაციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

2. სკოლას ჰყავს სოციალურ ქსელ facebook-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ ისეთი უტყუარი, სანდო და გადამოწმებულ;ი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომლის დოკუმენტალურად დადასტურება შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში.

3. საზოგადოებისგან ინფორმაციის ელექტრონული სახით მისაღებად, სკოლა იყენებს facebook-სა და Teams-ში დამრიგებლების მიერ შექმნილ მშობელთა "ჩატებს". ასევე ინფორმაციის მისაღებად და გასაცემად, სკოლა იყენებს სკოლის ოფიციალურ ელ. ფოსტას Kutaisi1@mes.gov.ge. მიღებული ინფრომაციის დამუშავების შედეგად, სკოლა გეგმავს შესაბამის ქმედბეებს, აქტოვობებს და ღონისძიებებს.

4. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, ამიტომ ინფორმაციის გასაზიარების ძირითად ინსტრუმენტად იყენებს facebook გვერდს, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი. რადგან სკოლას აქვს DSD სტატუსი, დაწესებულება გეგმავს, რომ აღნიშნული ვებ-გვერდი იყოს ორენოვანი (ქართულ-გერმანული). *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 15 ნოემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს skolebi-admin.emis.ge-ზე სკოლის დარეგისტრირება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადმინისტრატორის მიერ ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა გეგმავს კოლეჯ „იბერიასთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეთა ჩართულობით შექმნას იგი 2023-2024 სასწავლო წლისათვის. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ გვერდზე განთავსდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ სკოლის სახელწოდება, მისამართი, ონლაინ მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია;
- ✓ სკოლის სტრუქტურა;
- ✓ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ✓ სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ✓ სკოლის მთავარი სიახლეები;
- ✓ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ✓ ინფორმაცია მოსწავლეების, მათ შორის, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 15 ნოემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს skolebi-admin.emis.ge -ზე სკოლის დარეგისტრირება, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადმინისტრატორის მიერ ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- Facebook-ზე შექმნილი გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100075934111788&mibextid=ZbWKwL.,
- მასწავლებლების მიერ შექმნილი „ჩატები“, ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტა - Kutaisi1@mes.gov.ge
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი დგება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებასთან ერთად (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა.) ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლას შემოსავლის სახით აქვს როგორც ვაუჩერული დაფინანსება, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (იჯარა, ფასიანი წრეები). ბიუჯეტის დაგეგმვის დროს სკოლა ითვალისწინებს პრიორიტეტულ მიმართულებებს და სავარაუდო ხარჯებს, რომლებიც დგება წინა წლის გამოცდილებებეზე დაყრდნობით. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს სკოლის ფინანსური საქმიანობის შესრულების შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, თუმცა არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოუდგენია მომდევნო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. ვიზიტის დამტკიცებული ბიუჯეტსა და სამოქმედო გეგმას შორის კავშირი ვიზიტის დროს ვერ დადგინდა, შესაბამისად საჭიროა მომდევნო წლების ბიუჯეტი დაიგეგმოს უშუალოდ სამოქმედო გეგმასთან კავშირში. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 11 დეკემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის სამეურვეო საბჭოზე დამტკიცება და ამ სამოქმედო გეგმასთან კავშირში მყოფი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა სამეურვეო საბჭოზე და დამტკიცება.*

2. სკოლა ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლას დაგეგმილი აქვს ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, შესაბამისად, ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნა, სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული ცვლილებები. მომავალი წლის ბიუჯეტის შესადგენად, სკოლა გეგმავს ჩართოს პროცესებში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ჩატარდება შეხვედრები და შემუშავებული წინადადებები ანგარიშის სახით წარედგინება დირექტორს. ასევე ბრძანებით შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გაანალიზებს ბიუჯეტის შესრულებას. ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები, ასევე საჯაროდ არ იყო გამოქვეყნებული წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი. სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ აწარმოოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, განსაზღვროს მონიტორიგის ფორმები, ბიუჯეტი დაიგეგმოს სამოქმედო გეგმის მიხედვით და ეს ყვლაფერი იყო საჯაროდ გამოქვეყნებული. *დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 11 დეკემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *10 დეკემბრის ანგარიში;*
- *ბიუჯეტის კორექტირებები ვაუჩერის ცვლილებასთან დაკავშირებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *2022 წლის 12 თვის ბიუჯეტის შესრულება;*
- *ბიუჯეტის პროექტი;*
- *ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;*
- *შესაბამისობის გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში, ასევე ასახულია მოსწავლის უფლებები. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის პროცედურების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. მნიშვნელოვანია სკოლაში ასეთი დოკუმენტის არსებობა, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ მოსწავლის მიერ საჩივრის წარდგენის და განხილვის წესი, არამედ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. აღნიშნული პროცედურების წერილობითი სახით არსებობა და საჯაროობა გაზრდის სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვის ხარისხს. სკოლის მიერ არგუმენტირებული პასუხის გამოგზავნის დროს, დაწესებუებამ წარმოადგინა „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, სადაც გაწერილია შემდეგი საკითხები: წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა, საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა, საჩივრების პროცედურების სიმარტივე, გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის, საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამოძიება და გადაწყვეტა.

2. სკოლამ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით წარმოადგინა მშობელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. სკოლის ადმინისტრაციასთან/საქმისმწარმოებელთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ანალოგიური ტიპის ხელშეკრულება, რაც მატერიალურად ისედაც ჩანდა. ,,ზოგადი განათლების შესახებ” კანონის შესაბამისად სკოლის შინაგანაწესს ითანხმებს სკოლის პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სამეურვეო საბჭო მისი ფორმატიდან გამომდინრე წარმოადგენს ერთ-ერთ მრავალფეროვან სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შედგება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლის შინაგანაწესი ცნობილაა ფართო საზოგადოებისთვის, ყველა საფეხურს ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უსაფრთხოებას იცავს სკოლის მანდატური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსები გამოკრულია დერეფანში, ასევე სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ სკოლას მალე ექნება ვებ-გვერდი, თავად მოსწავლეთა მიერ შექმნილი ქუთაისის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, სადაც ექნება საშუალება განათვსოს ყველა დოკუმენტი. საკლასო ოთახების დათვალიერების დროს გამოკრული იყო ქცევის წესები, ხოლო დამრიგებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სკოლის შინაგანაწესის და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობის გაცნობა და შესრულება წარმოადგნს. სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები. ის დოკუმენტაცია რაც სკოლას აქვს, თვალსაჩინო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

3. სკოლში ყოველ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია კანონმებლობასთან და სკოლაში არსებულ სხვა დოკუმენტებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-414 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *მშობელთან დადებული ხელშეკრულება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლის შინაგანაწესში. შეესაბამება კანონმდებლობას. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც ზემოაღნიშნულის საჯაროობას უზრუნველყოფს. კლასიდან კლასში/საფეხურის დაძლევის პროცედურა კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით, პედაგოგიური საბჭოს ოქმის საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დირექტორის საერთო ტიპის ბრძნებები, რომლითაც გასაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერების ბრძანება შეესაბამება კანონმდებლობას.

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით. მოსწავლე სკოლაში ირიცხება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების საფუძველზე. ასევე სიიდან ამოირიცხება მიმღები სკოლის მოთხოვნისა და მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. სტატუსის შეწყვეტის პროცედურები სკოლას განსაზღვრული აქვს კანონმდებლობის სრული დაცვით.

3. სკოლა დამატებითი მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს უცხო ენების წრეებს. სკოლის დირექცია-ადმინისტრაცასთან ინტერვიურებით დგინება, რომ აღნიშნული წრეები მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მოთხოვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე შეიქმნა. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საწრეო მომსახურებასთან დაკავშირებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წრეების დებულება და პროგრამა. ასევე ხელშეკრულება გაფორმებულია წრის ხელმძღვანელსა და სკოლას შორის. ინფორმაციას დაგეგმილი დამატებითი მომსახურების სახეების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის მშობელთა კრებებზე. ასევე ეს ინფორმაცია გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

4. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ გვერდს და ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი საკმაოდ აქტიურ ფაზაშია, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისები და თანმდევი პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება # 2-33 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #2-45 მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *სოციალური გვერდი;*
- *წრეების შესახებ დოკუმენტაცია;*
- *სასკოლო კურიკულუმი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის გარემოსთან ადაპტირების ხელშემწყობ მექანიზმის მთავარ საყრდენად დამრიგებელს ასახელებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ახალ გარემოსთან ადაპტაიაში, როგორც სასწავლო ასევე არაფორმალურ გარემოში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამრიგებლის მუშაობის დებულებაში გაწერილია მისი მუშაობს პრინციპები და ის მთავარი მიმართულებები, რომელიც რომლის საშუაებითაც მოსწავლე შეძლებს გარემოსთან ადაბტირებას. ასევე სკოლამ წარმოადგინა კონკრეტული კლასის სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც თანხვედრაშია დამრიგებლის მუშაობის დებულებასთან. სკოლის კედლებზე გამოკრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფოტოები ბევრ ინფორმაციას ჰყვება სკოლაში სხვადასხვა დღეების აღნიშვნების შესახებ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადვილად ადაპტირებას.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იძლევა საშუალებას, რომ დამრიგბელი იყოს მოსწავლის ადაპტირებისთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ სკოლა ამ მიმართუებით გამოხატავს მუდმივად განვითარების მზაობას. სკოლის Facebook გევრდზე მრავალად ვხვდებით სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადვილად ადაბტირებას, ასევე ვიზიტისას სკოლის დირექციამ მიგვიწვია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მშობლები და უცხოელი სტუმრები.

3. სკოლა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის დიდ ყურადღებას უთმობს განმავითარებელი შეფასების დანერგვას, საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურებით ნათლად ჩანდა აღნიშნული საკითხისადმი აუცილებლობად განპირობება პედაგოგების მხრიდან, ხოლო ექსტერნის ან სხვა ნებისმიერი გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სკოლა მზაობას გამოხატავს გასწიოს კონსულტირება და მხარი დაუჭიროს მოსწავლეებს.

4. სკოლას აქვს დიდი ხნის ისტორია, ჩამოყალიბებული აქვს სკოლის საერთო კულტურა, რომელსაც იზიარებენ სკოლასთან თანამშრომლობის წარმოშობისთანავე სკოლის მოსწავლეები. ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემა ჩნდება, მოსწავლეთა ნებისმიერი ქმედების დროს, როგორც აკამდემიური, ასევე ადმინისტრაციის მიმართულებით. მაგალითად, სკოლაში ხორცილედება სხვადსახვა ტიპის პროექტები, ასევე ზემოაღნიშნული მემორანდუმები, სკოლის მუზეუმი, რომელიც დიდი ხნის ისტორიას ინახავს სკოლაში ხორციელდება არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადსახვა პროექტები მოსწავლეების მიერ.

5. სკოლა ჩართულია ევროსაბჭოს პროექტში ,,დემოკრატია იწყება სკოლიდან", გარემოსდაცვით პროექტებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა პროქტებში. სკოლის მოსწავლეები ასევე აქტიურად მონაწილეობენ გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სემინარებში, პროექტებსა (,,VERNETZT ÜR NACHHALTIGKEIT", ,,GRAFITTIKURS", ,,OZEA-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PROGRAMMIER-WINTERCAMP“, „BERUFE DER ZUKUNFT“ USW.) და გაცვლით პროგრამებში, რომლებიც ტარდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: გერმანია, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. სკოლა ასევე არის შვეიცარიის ქალაქ ბერნის გიმნაზიის პარტნიორი;

6. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ხორციელდებოდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, დაგზავნილი იყო კითხვარი. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით, გაირკვა, რომ მიმდინარე პროცესის დასრულების შემდეგ მიღებული უკუკავშირი გახდება მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმილი აქტივობების გაუმჯობესების ერთ-ერთი საფუძველი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის სოციალური გვერდი;*
- *პროექტები;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი.*
- *მუზეუმის დებულება;*
- *მემორანდმეები;*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სადამრიგებლო პროგრამები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კარიერის დაგეგმვისა და ორიენტირების მიზნით პროფესიულ კოლეჯ ,,იბერიასთან", ასევე ვიზიტისას აქტიურად თაამშრომლობის დაწყების ფაზაში იყო ქუთაისის უნივერსიტეტთან, კომპიუტერული ტექნოლოგიებით დაინტერესებული მოსწავლეების მხარადჭერისთვის, საბაზო და საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში გაწერილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული დაგეგმვის შესახებ საუბრები. სკოლის კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა სტუმრობა სხვადასხვა დაწესებულებებში.

2. სკოლაში ყველაზე დიდი გამოცდილება კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ უნივერსიტეტების სტუმრობა და მათი პროგრამების გაცნობაა სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე ინტერვიურებით სკოლის დირექციასთან დგინდება, რომ კანდიდატის სკოლის მიღების შემდეგ სკოლა მეტ ყურადღებას დაუთმობს საერთაშორისო პროგრამებს. პროფესიული განათლების მეტად დაინტერესებისთვის ,,იბერიასთან" გაფორმებული ხელშეკრულებას კი შესაძლოა მეტ პროფესიულ სასწავლებლებთან კომუნიკაცია მოყვეს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

3. სკოლაში მიმდინარე კმაყოფილების კვლევის შედეგები დამუშავების შემდეგ უფრო ნათელი გახდება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, რომლის გათვალსიწინების მზაობასა სკოლის დირექცია გამოთქვამს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სკოლის მიერ გაფორმებული მემორანდუმები;*
- *სკოლის სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100075934111788&mibextid=ZbWKwL*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო, ასევე დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლ გეგმაზე მომუშავე გუნდი. სკოლას ჰყავს 1 სპეც მასწავლებელი და 1 ასისტენტი. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა მონიტორინგის ჯგუფით, რომელიც წლის ბოლოს დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით აყალიბებს დასკვნას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით.

2. მულტიდისციპლინური გუნდთან აქტიური თანამშრომლობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაწერაში, შესრულებაში, მონიტორინგში, აქტიური თანამონაწილეობა მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას, ასევე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ითახმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად, რაც შესაძლოა მეტი ჩართულობისა და თანამშრომლობით პრინციპად შესაძლოა მოვიაზროთ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანებები.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი და გახანგრძლივებული სწავლების წრე და გერმანულის წრე. ასევე სკოლაში იჯარით არის გაცემული ფართი ცეკვის, ბალეტისა და ტანვარჯიშის სტუდიებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლიდან, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე. ასეთი წრის ჩამოყალიბების მოთხოვნა გაჩნდა მშობლების მხრიდან, რომლებმაც წერილობითი განცხადებებით მიმართეს სკოლას ასეთი ტიპის სერვისის შეთავაზების კუთხით. გახანგრძლივებული წრით სარგებლობენ მხოლოდ დაწყებითი I-IV კლასების მოსწავლეები. სასურველია არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ჩამონათვალი, აღწერილობა, განრიგი და პირობები გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი სერვისები, აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *გერმანულის წრის მასალები;*
- *ბუფეტის იჯარა;*
- *სხვადასხვა ფართის იჯარის დოკუმენტაცია.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხურის პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხურის პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**■ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დაწყებითი საფეხურის პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არის ჩაშენეული სკოლის სასწავლო გეგმაში, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში, აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მასწავლებლებმა, ინტერვიუს დროს ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები - ყოველივე ეს გათვალისწინებულია მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. აღნიშნული დაადასტურეს მათემატიკის კათედრის მასწავლებლებმაც. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლების გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მასწავლებლების განცხადებით, სკოლაში ჩატარდა მშობლების გამოკითხვა და სწორედ ამის საფუძველზე შეირჩა მეორე და მესამე უცხო ენების სწავლებაც. სპორტის შერჩეული სასწავლო თემებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც დამატებით აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებასაც.

3. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც. მართალია, სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეყრდნობა ჩატარებულ კვლევას და ამის მიხედვით განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მშობელთა ჩართულობის გაზრდა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს კიდეც, რომ ჩატარდა SWOT ანალიზი და მშობლებთან ერთად განიხილეს შედეგებიც თუმცა საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართავადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. ინტერვიუში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს საგნის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრებზე. მათი ერთობლივი შეთანხმებით იქნა მიღებული გადაწყვეტილებები: კლასების მიხედვით სავალდებულო თემების ფარგლებში საკითხებისა და ქვესაკითხების (რომლითაც გეგმავენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას) შერჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევასთან დაკავშირებით, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა სასწავლო წელს, რაც დასტურდება მასწავლებელთა მონათხრობითა და სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების ტრადიციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება, მშობელთა კრებებზე მშობლებს გააცნონ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებებზე მოუწევთ მუშაობა მათ შვილებს ახალ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში. პარალელური კლასების ფარგლებში პედაგოგები შეთანხმდნენ თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ გადაწყვეტილებაზე.

4. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არსები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. ამის დამადასტურებელი მასალები წარმოდგენილია სურათებისა და დოკუმენტების სახით. საჭირო მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოებს ყველა ჯგუფის მიერ. მასალების გაზიარება ხდება სოციალური ქსელის, სკოლის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. იგივე აღნიშნეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კათედრის წევრებთან შეთანხმებით სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგეგმა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ინსტრუქციები კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით. მათ ინფორმაციები მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ კურიკულუმებზე მუშაობის შესახებაც როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ შეხვედრებზე. ამ შეხვედრებზე განიხილება ძირითადად ზოგადი საკითხები, როგორიცაა: კურიკულუმი, შეფასების კრიტერიუმები, საერთო შესაძლებლობები და საჭიროებები. ამ და სხვა სასწავლო მიზნებისათვის ყველა დამრიგებელი იყენებს სოციალურ ქსელს, შექმნილი აქვთ მშობელთა დახურული ჯგუფები. სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი. დირექტორის ბრძანებით, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი საინფორმაციო დაფისა და სოციალური ქსელის მეშვეობით სასკოლო საზოგადოებას სისტემატიურად აწვდის სკოლასთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრის ოქმები*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, მე-10 და მე-12 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში), რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. უცხოური ენების კათედრის შეხვედრის ოქმში და მათთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ შუალედურ მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირება იმდენად რამდენადაც ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები მიემართება კომპლექსური ბუნების დავალებებს რაც სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში. საშუალო საფეხურის კურიკულუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოცავს შემდეგ საგნებს: ისტორია, მოქალაქეობა და გეოგრაფია. შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს ესგ-ის მეთოდური რეკომენდაციებისა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოში სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. ყოველივე ეს დასტურდება, როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის, ასევე პედაგოგებთან შეხვედრის პროცესში მასწავლებელთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად. ინტერვიუს დროს ექსპერტის შეკითხვები ძირითადად მიემართებოდა სწორედ იმის გარკვევას რამდენად ჰქონდათ მასწავლებლებს კულიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესი გააზრებული. მასწავლებელთა გამოთქმულმა მოსაზრებებმა და მათ მიერ პროცესის აღწერამ დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ბოლო პერიოდში ჩაერთო მიმდინარე რეფორმის პროცესის აქტივობებში სკოლას შეუძლია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დაგეგმვა და განხორციელება. მათემატიკის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, X და XII კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. ესთეტიკის კათედრის მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) კურიკულუმები (მე-10 კლასები) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საგნობრივ სრანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ ფიზიკის მე-10 კლასის შესწორებული კურიკულუმი წარმოადგინა, სადაც ასახულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები: სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალი, სასწავლო რესურსები. ხოლო იმ საკითხებისათვის, რომლებზედაც კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალების განხორციელებაა დაგეგმილი, განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკობრივ თავისებურებებს და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. კომპლექსური დავალების იდეა-ში წარმოდგენილია შესასწავლი საკითხი და რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. ქიმიისა და ბიოლოგიის მე-10 კლასების კურიკულუმის ჩარჩოშიც იგივე ინფორმაციაა ასახული იმ განსხვავებით, რომ სავალდებულო თემებში მხოლოდ ის საკითხები აქვთ წარმოდგენილი, რომლებზედაც 2023-2024 სასწავლო წელს კომპლექსური დავალების განხორციელებას აპირებენ. ბიოლოგიისა და ქიმიის კურიკულუმები თავდაპირველ ჩარჩოშია წარმოდგენილი. მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმში „მაგალითები შედარებისთვის“ ყველა კომპლექსური დავალებისთვის არ არის განსაზღვრული. როგორც ქიმიის, ასევე, ბიოლოგიის მე-10 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში სვეტში - „ძირითადი საკითხი/ქვეთემები“ დამატებით მითითებულია, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა დაამზადოს მოსწავლემ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან, ასევე რა მცირედი უზუსტობები აქვთ დაშვებული კურიკულუმებში, თუმცა მცირე დროში სრულყოფილი კურიკულუმების ჩარჩოს წარმოდგენას ვერ მოახერხებენ. ამიტომ აღნიშნული უზუსტობების გასწორებას და კურიკულუმის საბოლოო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სრულყოფილი ვერსიის წარმოდგენას პედაგოგები ზაფხულის განმავლობაში გეგმავენ კათედრებზე განხილვისა და ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ. უცხოურ ენებში რთულია იმის თქმა თუ რამდენად არის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული შუალედური მიზნები მოსწავლეთა განივითარებაზე ორიენტირებული რადგან ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები ერთნაირია. რჩება შთაბეჭდილება რომ ყველა ქვესაკითხსა და ქვეთემაში უნდა შემქნან პოსტერი ან პრეზენტაცია თუმცა გასხვავება არის მხოლოდ თემებში. უმჯობესი იქნება გარდა პრეზენტაციების მომზადებისა, მოსწავლეების ამ უნარების განვითარებისთვის კათედრამ შესთავაზოს სხვა მრავალფეროვანი აქტივობებიც.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ასევე, *„კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ამის დასტური იქნება კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილი, რომელშიც 2023-2024 სასწავლო წელს ყველა ცნების დამუშავების ეტაპები გაწერილი იქნება.“* აღნიშნავენ თვითშეფასების კითხვარში და ამავეს ადასტურებდნენ ინტერვიუების დროსაც. უცხოური ენების კათედრის დოკუმენტაციის შესწავლიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული იყო სამიზნე ცნებები თუმცა არ იყო მიმართება მათსა და კომპლექსური დავალების პირობას შორის. შესაბამისად, დანერგვის ინსტრუმენტები არ ეფუძნებოდა გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როდესაც ინტერვიუს დროს განვიხილეთ ერთი კონკრეტული მაგალითი, მასწავლებლებმა თავად აღმოაჩინეს შეცდომა და ხელმეორედ უკვე შესწორებული ვარიანტიც გამოაგზავნეს, რაც ასევე მიუთითებს მათ მზაობას რომ კურიკულუმი გახადონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული. საშუალო საფეხურის კურიკულუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში შექმნილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი რაც კი მოცემულია კურიკულუმში: სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები ეყრდნობა და ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღწერეს თუ როგორ უწყობენ ხელს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას. მოიყვანეს სხვადასხვა სასკოლო თუ საკლასო პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის მაგალითებიც. ისაუბრეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიღწევის გზებზეც. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში იყო ტექნიკური ხარვეზები, არასწორ ადგილას ეწერა გარკვეული ინფორმაცია ან გადაადგილებული იყო რეკომენდირებული ფორმის ველები, ამას კონსტრუქციულად მიუდგა სკოლა და მეორე დღისთვის წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტები. თუმცა, იყო ნიშანდობლივი მომენტებიც, მაგალითად მოქალაქეობის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს სკოლის მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილ ვერსიაში, ვერ ვიტყვით რომ შესაბამისობა იყო დაცული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. რადგან უგულებელყოფილი იყო ესგ-ში მოცემული სავალდებულო თემების ჩამონათვალი. ეყრდნობოდა მხოლოდ სახელმძღვანელოს შინაარსს. მართალია, სკოლამ მეორე დღისთვის წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტი მაგრამ, საინტერესოა, თუ სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის აგების, სასწავლო მიზნების განსაზღვრის პრინციპი, როგორ მოხდა რომ კურიკულუმის ნაწილში ეს იყო გათვალისწინებული და ნაწილში არა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა მეტი თანამშრომლობა და თანმიმდევრულობა. მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება შესასწავლი საკითხების მიმართულებების მიხედვით დაკლასტერებაში, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით. მიეთითათ რომ კურიკულუმში გაწერილი უნდა იყოს სტანდარტის მიხედვით სავალდებულო ყველა თემა. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ასევე, კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. საშუალო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში ხორციელდება პროექტული სწავლება. მტკიცებულებებით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (სახვითი და გამოყენებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელოვნება X კლასი, მუსიკას არ აქვს წარმოდგენილი რადგან არჩევითია და სკოლას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ჰქონდა არჩეული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული. კერძოდ: ***სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება*** - X კლასის კურიკულუმში არ არის გამოყოფილი სავალდებულო თემატური ბლოკები; სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი მეორე ადგილზე გადმოსატანი და სამიზნე ცნებები სრულად უნდა დასახელდეს დავალების პირობასთან შესაბამის ქვეცნებებთან ერთად; ძირითადი საკითხი უფრო უნდა დაკონკრეტდეს დავალების პროდუქტან მიმართებაში; კონტექსტ მაგალითი არ არის გააზრებულად წარმოდგენილი; საშუალო საფეხურის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები, აგრეთვე ინტერვიუს დროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა წარმოადგინეს უკვე უკეთესად შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რაც იმაზე მეტყველებს რომ სკოლას აქვს მზაობა და რესურსი სექტემბრამდე დახვეწოს კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში უმეტეს შემთხვევაში არ არის მიმართება კომპლექსური დავალების პირობასა და სამიზნე ცნებებს შორის. შესაბამისად, დანერგვის ინსტრუმენტები არ ეფუძნებოდა გრძელვადიან მიზნებს. მეტიც, მე-12 კლასის ჩარჩოში ყველა თემაზე სამიზნე ცნებები/ქვესაკითხები ერთნაირია, იმდენად ერთნაირი, რომ რჩება შთაბეჭდილება თითქოს ერთი ტექსტი არის გადმოტანილი ყველა გრაფაში. თუმცა, როდესაც ინტერვიუს დროს მოხდა ერთი კონკრეტული მაგალითის განხილვა, მასწავლებლებმა თავად აღმოაჩინეს შეცდომა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვთ ის პროცედურები რაც უნდა განხორციელდეს ინკლუზიური სწავლების მიმართულებით. თუმცა, მათემატიკის და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. არც უცხოურ ენაში აქვთ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დოკუმენტები რაც დაადასტურებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს სასწავლო პროცესში გათვალისწინებული აქვთ ინკლუზიური და დიფერენცირებულო მიდგომები რომელიც დაადასტურეს კონკრეტული მაგალითებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და განსხვავებულ რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ. გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მომავალშიც უზრუნველყონ მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვა სასწავლო პროცესში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყველა კლასში, ყველა თემაშია დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და სტრატეგიები. სასკოლო სასწავლო გეგმაში სპეციალური თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას. სადაც გაწერილია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, სკოლას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების შეძენასა და მათ განახლებას. ამჟამად, სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და განსხვავებულ რესურსებს. უცხოურ ენაში არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან/და დოკუმენტები რაც დაადასტურებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას.

4. სსიპ ქუთაისის პირველმა საჯარო სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია მეორე მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე არ არის წარმოდგენილი სანიმუშო რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, მაგრამ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს და ასევე, საბაზო საფეხურისთვის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ანალიზისასაც. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. უცხოური ენების კათედრის ოქმში აღნიშნულია რომ სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი უკუკავშირით; როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, დაწყებით საფეხურზე ზეპირი უკუკავშირის გარდა ასევე იყენებენ კომენტარების დაწერას, სხვადასხვა სახის ჩანახატებს (ვარსკვლავები, გულები და ა.შ.). უმჯობესია, განმავითარებელი შეფასება მიმართული იყოს გრძელვადიან მიზნებზე და ეს ყველაფერი წარმოდგენილი იყოს რუბრიკებში. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში იყენებენ ინსტრუმენტებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, როგორც ინტერვიუზე, ასევე საგნობრივ ოქმში, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით სექტემბრისთვის - 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. უცხოურ ენებში სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი კომპლექსური დავალების მაგალითზე. სადაც ისევ არ არის მიმართება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალების პირობას შორის, შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც არ მიემართება ყველა იმ სამიზნე ცნებას რაც ამ კონკრეტულ დავალებაში აქვთ აღნიშნული. უმჯობესი იქნება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწა და აქ სწორედ სამიზნე ცნებების სიღრმისეულად აღქმა.

5. მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ სკოლამ ჩაატარა კმაყოფილების კვლევა და ამის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა და აიგო კურიკულუმები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სკოლაში ასევე ჩატარდა SWOT ანალიზი და გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ამაზე დაყრდნობით მოხდა დაგეგმვა. ასევე, როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - *„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“.* როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. სავარაუდოა, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრებზე ერთობლივი მუშაობის, გაკვეთილებზე კოლეგების დასწრებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ხდება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინდ. სასწავლო გეგმების ნიმუშებში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულემები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *SWOT ანალიზი.*
- *თვითშეფასების დოკუმენტი*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუშები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ; „სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს უქმნის სასწავლო მოცემულობას, ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი და დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები“. მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ სწავლებისას გამოყენებული აქტივობები და დავალებები მიმართულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. ახალი ცოდნის გადაცემა ხორცილდება წინარე ცოდნის საფუძველზე, გამოყენებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მიზნების მისაღწევად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელებულ გზებზე. ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის საგნობრივმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. სპორტის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები და საფეხურის ფარგლებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობელი. ასეთი მიდგომა იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს შემოქმედებითობა. ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ყველა თემაზე გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ახალი ცოდნის გადაცემა ხორციელდება წინარე ცოდნის საფუძველზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს უქმნის სასწავლო მოცემულობას, ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ თითოეულ თემაში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალებების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდასა და აქტიურ სწავლაში ჩართულობას. როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმშია აღნიშნული კომპლექსური დავალების შექმნის დიდი გამოცდილება სკოლას არ გააჩნია, ალბათ, ამიტომაც რთულია იმის თქმა თუ რამდენად მიემართება კურიკულუმის ჩარჩოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოცემული კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ისედაც იყენებდნენ ოფიციალურად დაწერის გარეშე ისეთ აქტივობებსა და პროექტებს რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ასევე, ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები სწორედაც რომ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ არის მიმართული. გარდა, ამისა წარმოდგენილი დოკუმენტაციაც, უცხოური ენების წრეების შესახებ, მიუთითებს მოსწავლეთა მოტივაციასა და მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვაზე. შესაბამისად, იკვეთება მზაობა ამ მიმართულებით თუმცა საჭიროა ამის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერაც.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში თითოეულ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, მაშინაც, როდესაც სამფაზიან გაკვეთილებს გეგმავდნენ და ახორციელებდნენ და ახლაც, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ეს უფრო მარტივი გახდა, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია ესგ-ს მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. რაც ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირებას განაპირობებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებს არ ახლავს დანართი თემატური მატრიცების სახით, რომლებშიც ნათლად გამოჩნდებოდა რამდენად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, თუმცა, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სწავლების პროცესში გეგმავენ კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. პედაგოგების თქმით, კომპლექსური დავალებების შემთხვევაში ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი და ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და საკითხები ერთნაირია, და სტუდენტებს მხოლოდ პოსტერის ან პრეზენტაციის გაკეთებას მოისაზრებს, რთულია იმის თქმა რამდენად ხდება წინაზე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება.

3. ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების თქმით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები. მათ მიერ ხდება პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეები აღჭურვონ ამ კომპეტენციით, რათა მათ საჭირო დროს ადვილად შეძლონ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. პედაგოგების აზრით, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. ამ მხრივ სკოლას აქვს გამოცდილება. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილზე იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს: სქემებს, დიაგრამებს, გასასვლელ ბარათებს. პედაგოგების მონათხრობიდან ირკვევა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების შუალედურ მიზნებად გამოყენება, შესაბამისად, შეეცდებიან იმუშაონ მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. უცხოური ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმში არ არის ღრმად გაანალიზებული სწავლის სწავლაზე ორიენტირება და საჭიროებს მეტ დახვეწას.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. *„კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. როცა ჩვენ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება, ამას ვაღწევდით პროექტული სწავლებითაც. პროექტები კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოეყენებინა პრაქტიკული საქმიანობის დროს“.* - აღნიშნულია თვითშეფასების კითხვარში, რაც მოწმობს, რომ სკოლა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის მიღებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება. მასწავლებლებმაც სწორედ ეს აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით. საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. რაც შეეხება ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმს, მისი შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს აქვთ კომპლექსური დავლებით მუშაობის მწირი გამოცდილება. თუმცა, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების საშუალებით, ცდილობენ ხელი შეუწყონ ცოდნის სამივე კატეგორიის: დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის გამოვლენას. მათ გასააქტიურებლად მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში სვამენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს, ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნას და გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტებისა და თეორიული მასალის დასწავლას, არამედ ამ ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქვთ პროექტული სწავლების გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ხელს უწყობენ გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში. სკოლის მიერ ახალად შემუშავებული კურიკულუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის მაქსიმალურად მიმართვას ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ასეთი ტიპის დავალებებად ცალსახად მოიაზრება კომლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც აქტიურად დაიგეგმა ყველა კლასში, ყველა თემის ფარგლებში. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების ცოდნა კონსტრუქტივისტული პრინციპებისადმი ხოლო ამის პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა მათ მიერ მოყვანილი მაგალითებით. უმჯობესია, რომ ეს ყველაფერი იყოს ასახული კურიკულუმის ჩარჩოშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. იგივე აღნიშნეს მათემატიკის მასწავლებლებმა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მისაღწევია. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. რასაც გამოიყენებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის საბუნებისმეტყველო საგნებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, რაც გაუადვილებთ სხვადასხვა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლებას. მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი უცხოურ ენებში კომპლექსური დავალების სახით, სადაც მათ პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილება უნდა დაეკავშირებინათ ნასწავლ მასალასთან და ისე წარემართათ ინტერვიუ. სასურველია მსგავსი კავშირები ჩანდეს კურიკულუმის ჩარჩოშიც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მე-10, ისე მე-12 კლასში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუადვილებს ახალი აქტივობების გააზრებას დაა შესწავლას. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს - დაგეგმილ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს არ ჰქონდათ შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის გამოცდილება. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმში საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) მასწავლებლებმა მე-10 კლასში სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს საკითხები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებს, რომლებიც საფეხურის შედეგებიდან გამომდინარეობს, მკვიდრი წარმოდგენები კი შემოსაზღვრავს ცნების არეალს. საგნობრივ კურიკულუმებში, აგრეთვე, წარმოდგენილია შუალედური სასწავლო მიზნები - კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენასა და საგნობრივ საკითხებს შორის რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები რამდენიმე შემთხვევაში არ მიმეართებოდა კომპლექსური დავალების საკითხებს, უფორ მეტიც, ერთიდაიგივე იყო ყველა თემის მიმართებით. ასევე არ იყო კორელაცია სამიზნე ცნებებს, საკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს შორის. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ახსნეს იმით, რომ ჩარჩოს შესამუშავებლად ჰქონდათ მხოლოდ 3 დღე და სისწრაფის დროს მოხდა შეცდომების დაშვება.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლების კუთხით, სკოლის მიერ განხორციელებული სხვა და სხვა სოციალური პროექტები მაგ: „მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და ინიციატივით განხორციელდა უკრაინელი ბავშვების დასახმარებელი აქცია; საშობაოდ და სააღდგომოდ ჩვენივე სკოლისა და ქალაქ ქუთაისის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების აქცია.“ და სხვა. ეს ყველაფერი ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგადაც დგინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები (მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც) და რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ელ. ბმულები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. საბუნებისმეტყველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან საუბრისა და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითრებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადსხვა სოციალური პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მაგალითით გამოიკვეთა რომ პროექტები ორიენტირებულია არამხოლოდ მოსწავლეთა ცოდნაზე არამედ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე რაც ასევე აღწერილია სკოლის თვითშეფასების კითხვარში და სასკოლო სასწავლო გეგმაშიც.

3. მასწავლებლებთა ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. მართალია სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა, რომელიც იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე მიმართული შეფასების სისტემა. თუმცა, შესაძლოა სკოლას დასჭირდეს გარკვეული მუშაობა მასწავლებლებთან და დახმარება მოსწავლის ჰოლისტური შეფასების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, საშუალო საფეხურის ახალი სტანდარტი მხოლოდ მე-10 კლასისათვისაა დანერგილი და მნიშვნელოვანია სკოლის უფრო მეტი ძალისხმევა 11-12 კლასების კურიკულუმისა და შესაბამისი შეფასების სისტემის დანერგვაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რისი მზაობაც გამოხატა სკოლამ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების ამოცანები:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

საბუნებისმეტყველო საგნებში მომავალი სასწავლო წლისთვის ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება გამახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და პედაგოგები ცდილობენ შეფასების სისტემაც მორგებული იყოს ამ პროცესს. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და წარმოდგენილი კომპლექსური დავალების შეფასების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს იმდენად რამდენადაც სწავლის პროცესში აფასებენ არამხოლოდ მოსწავლეების ცოდნას არამედ მიმართულია მათ განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, ითქვა, რომ მომზადდება კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეებსაც ჩართავდა ამ საქმიანობაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, თემების მიხედვით ახალი რუბრიკების შექმნა რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა შეფასების დროს ყურადღება მახვილდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე. მასწავლებლები შეფასებისას იცავენ ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, რათა იცოდნენ რაში და რატომ ფასდებიან. შეფასების კრიტერიუმები იქმნება მოსწავლეებთნ ერთად. არის გამჭირვალე, მშობლებს აქვთ ინფორმაცია, როგორ ფასდებიან მათი შვილები. მათი უმრავლესობა ენდობა სკოლის შეფასებას. მშობელთა მოთხოვნები განიხილება დახურულ ჯგუფებში, რომლებიც შექმნეს დამრიგებლებმა სოციალურ ქსელში. დირექციასთან შეხვედრისას მაქსიმალურად მხარდაჭერილია მშობელთა ინიციატივა. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის, შუალედური სასწავლო მიზნების დანერგვასთან დაკავშირებით, გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი აირჩიეს განმსაზღვრელი შეფასების მეორე - ერთკომპონენტიანი მოდელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში მასწავლებლებმა შექმნეს კონკრეტული დავალებების კონკრეტული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. ასევე, განსაზღვრავს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას.

5. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან წარმართული ინტერვიურებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა.

6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *თვითშეფასების კითხვარი*
- *უცხოური ენების კათედრის ოქმი;*
- *სკოლის შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა;*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შემლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროსაც. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა მხარს უჭერს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივებს, რაც ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი, მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. პოზიტიური გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი შემდეგი საკითხები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა - სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, კალენდარი, საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, საათობრივი ბადე, საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შინსწავლება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლება, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა, სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილია 2022-23 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო სასწავლო გეგმა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოცდილებაზე დაყრდნობით სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო ცხოვრების პროცესი წარიმართება თანამშორმლობით, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობითა და პასუხისმგებლობით, რაც მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მასწავლებელთა მონათხრობი გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე, თუმცა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით ბევრია სამუშაო, ვინაიდან მოსწავლეთა ინტერესების სფერო ძალიან დიდია და მუდმივად საჭიროა, ფეხი ავუწყოთ მათ მოთხოვნებს. მოსწავლეები ინტერესდებიან სხვადასხვა სახის კონკურსებით, ოლიმპიადებითა და ა.შ. თუმცა ამ კუთხით სკოლა ფიქრობს, რომ უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი და ისეთი მექანიზმის შემუშავებაა საჭირო, რომელიც მოსწავლეებს უფრო მეტად წაახალისებს, მათ წარმატებასა და პროგრესს უზრუნველყოფს. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონფერენციებში, სატელევიზიო, საქალაქო, რეგიონალურ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებს იღებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ოლიმპიადებში. წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

3. კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება, მაგალითად სტუმრობა მუზეუმში და სხვა. ასევე იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესი და კურიკულუმი. საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემასა და უნარ ჩვევების განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ სუსტ და ძლიერ მხარეს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის სრულყოფა და მოსწავლის ინტერესებზე მორგება. ასევე ეწყობა შეხვედრები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. რაც ხელს უწყობს, კომუნიკაციას. სკოლაში მოქმედებს ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ თითოეულ თემაში შუალედური სასწავლო მიზნის, კომპლექსური დავალების განხორციელებას. შესაბამისად, გეგმავენ სასწავლო პროცესის ისე წარმართვას, რომ მოხდეს ზრუნვასა და პატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზება, მოსწავლეთა თანამშრომლობის წახალისება, აგრეთვე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური საკლასო კლიმატი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები უფრო კარგად იგრძნობენ თავს, ექნებათ შესაძლებლობა, უფრო მეტი ცოდნა შეიძინონ და საჭირო უნარები გამოიმუშაონ. პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისთვის საჭირო აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ზრუნავენ როგორც თვით, ასევე ერთმანეთის განვითარებაზე, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონფერენციაში ერთობლივად მონაწილეობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *უცხოური ენების კათედრის ოქმი;*
- *თვითშეფასების დოკუმენტი;*
- *სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მეირ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პუნქტები კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: დიაგნოსტიკური შეფასებებით, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია საკლასო წერის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება არა სპონტანურად, არამედ, წინასწარ განსაზღვრული მეოთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ აპირებს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. რაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და აღწერს: ა) რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და ბ) რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მთლიანობაში სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის დასახვეწი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. უცხოური ენის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია არა დასჯა-წახალისებად, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის ხარისხის პროცესის შეფასების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი. შექმნილია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითრების მხარდამჭერი ჯგუფი /ხარისხის მართვის ჯგუფი. ეს ჯგუფი აანალიზებს მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებსა და აძლევს მათ უკუკავშირს. კათედრების მიხედვით აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს. მიღებული უკუკავშირი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ქართულის კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელებენ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *შემაჯამებელი ოქმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, პედაგოგებთან ინტერვიუსას იკვეთება, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგები ენით მიწოდებაში, რომელიც მიმართულია მოსწავლეების ჰოლისტური განვითარებისაკენ და ემსახურება სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება: მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მოლოდინების განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი, თვითშეფასება და თვითრეგულაცია, თანამშრომლობითი და ურთიერთსწავლების მეთოდოლოგია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების წახალისება და კომპლექსური დავალებების მიცემა. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას, აგრეთვე, წარმოდგენილი აქვს 09.09.23-ში 2023-24 სასწავლო წლის „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები," რომელიც სასწავლო პროცესის შეფასებისთვის ითვალისწინებს სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას, მათი მოლოდინების განსაზღვრასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზს. გარდა გამოკითხვებისა, პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. შემდგომში სასურველია სკოლამ შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. უცხოური ენების კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება კათედრის წევრებს შორის კათედრის სხდომებზე, ხოლო მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაცნობა/გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება კათედრის სხდომებსა და პედსაბჭოზე. შესაბამისად, შეფასება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა. შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდასა და სპორტში ასევე საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომელიც მიმართული იქნება იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოს შეფასება მრავალ კონტექსტში, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. სკოლამ გამოთქვა ამისთვის მზაობა. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს გაანალიზებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე; მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მოლოდინების განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითშეფასება და თვითრეგულაცია, თანამშრომლობითი და ურთიერთსწავლების მეთოდოლოგია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების წახალისება. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც მორგებული უნდა იყოს ამ პროცესს. შესაბამისად, იყენებენ რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. კათედრები წლის დასაწყისში თანხმდებიან შეფასების საკვანძო საკითხებზე. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და ამ ტიპის შეფასება კლასში ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში მასწავლებლებმა შექმნეს კონკრეტული დავალებების, კონკრეტული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში განსაზღვრულია საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსური დავალებების გამოყენება, რომლებიც მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საშუალებას იძლევა. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას.

3. მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას საკლასო წერის ინსტრუმენტის გამოყენებით. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე, მას აქვს გამოცდილება, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში, ნაკლებად შეიმჩნეოდა ამისი პრაქტიკა. ინტერვიუში, პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ყველა კლასში მოსწავლეთა შესაფასებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის საშუალებითაც ადასტურებს საკუთარ ცოდნას შესასწავლ საკითხთან (ქვესაკითხთან) მიმართებით, რაც კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეები შეფასდებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავითარებელი შეფასებით, ასევე, გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასება. ეს შეფასებები დაეხმარებათ სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვაში. მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასებისთვის გამოიყენებენ „საკლასო წერას.'' ასევე, გეგმავენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელის გამოყენებას. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლების თქმით, სკოლაში ჩატარდება დიაგნოსტიკური შეფასება, კომპლექსური დავალებები, პროექტები რაც მიუთითებს შეფასების მრავალფეროვნებაზეც.

4. მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ მულტიფაქტორული მიდგომით. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ. ნებისმიერი პროცესის თუ მოვლების შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ დროსა და სივრცეს, რადგან აცნობიერებენ მოვლენათა ურთიერთდეტერმინიზმს. ითვალისწინებენ ყველა ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *შემაჯამებელი ოქმი*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და მასწავლებელთა ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ იმართება ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები. სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი იგეგმება დირექციის მხრიდან. მომავალი სასწავლო წლისათვის მუშავდება საჭიროებათა პაკეტი და მოხდება თვითშეფასება. მუშავდება ცვლილებათა ნუსხა, რომელიც აისახება მომავალი წლის სამუშაო გეგმაში. რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რადგან ჯერ-ჯერობით გამოცდილება არა აქვთ, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას მიმდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზის, მასწავლებელთა რეფლექსიის, მოსწავლეთა თვითშეფასების და სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შედეგების განხილვაზე დაყრდნობით სკოლა დაადგენს საჭიროებებს კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებით. როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმშია აღნიშნული და ინტერვიუს დროს ახსენეს, მასწავლებლები ხედავენ კურიკულუმის შეცვლისა და განვითარების საჭიროებას. ამის განსახორციელებლად კი, თვლიან, რომ სჭირდებათ მეტი პრაქტიკა და „ქოუჩების“ მხრიდან მეტი ტრენინგი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას ჰყავს რამდენიმე „ქოუჩი“ რომლებიც სკოლას და სკოლის თანამშრომლებს დაეხმარებიან კურიკულუმის დახვეწასა და გაუმჯობესებაში.

2. კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით დასტურდება რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებს. ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული. უცხოური ენების კათედრის ოქმში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება მოხდა მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღინიშნა რომ მასზე მუშაობდნენ ერთად, რადგან სკოლას არ აქვს ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება. მომავალში აპირებენ და მონიტორინგს რის შემდეგაც კვლავ მოხდება კურიკულუმის გადამუშავება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ჩაშენებულია სკოლის სასწავლო გეგმაში, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში, აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას გააჩნია შესაბამისი პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აღწერს:

- ***კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს*** (საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიდებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.)
- ***პრინციპებს, რომლებსაც მიემართება კურიკულუმის განვითარების პროცესი*** (სადაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება ესგ-ის შესაბამისად, განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლებების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმის განვითარება მოხდება სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს მათ პრიორიტეტებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარება მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებთან, როგორიცაა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროები, აგრეთვე, სკოლაში მიმდინარე მმართველობით პროცესებთან)
- ***კურიკულუმის განვითარების ეტაპებს*** (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია და განახლება.)

სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ში იკითხება და პედაგოგებთან გამართულ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი ერთი მხრივ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, მეორე მხრივ კი წარმოაჩენს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) შორის და იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **სპორტის** პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა სკოლაში კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის პირობებშიც პედაგოგები სკოლის, მოსწავლეების საჭიროებებისა და სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისი. რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს - შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთანეთის მოსაზრებებსა და გამოცდილებას. **მათემატიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ ჩანს და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს (2022-2023) გავლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექციის მონაწილეობა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ჩაატარეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა მოსწავლეები და მათი მშობლები. ანკეტირების საფუძველზე მოხდა მონაცემთა აღრიცხვა და გაანალიზება. საბოლოოდ, მოხდა კურიკულუმში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინება და ასახვა. თითოეულ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **სპორტის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც დამატებით აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებასაც.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის 1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება კონცეპტუალურ ჩარჩოსა და კურიკულუმის დიზაინზე, რომელიც თავის მხრივ, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. სადაც იკვეთება კავშირი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. რასაც ადასტურებენ პედაგოგებიც. ინტერვიუში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს საგნის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრებზე. მათი ერთობლივი შეთანხმებით იქნა მიღებული გადაწყვეტილებები: კლასების მიხედვით სავალდებულო თემების ფარგლებში საკითხებისა და ქვესაკითხების (რომლითაც გეგმავენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას) შერჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევასთან დაკავშირებით, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა სასწავლო წელს, რაც დასტურდება მასწავლებელთა მონათხრობითა და სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებისა და აგრეთვე, კათედრაზე თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრის ტრადიციის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, რომლებიც ჩატარებული კვლევის შედეგებით იქნა გამოვლენილი. პარალელური კლასების ფარგლებში პედაგოგები შეთანხმდნენ თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ გადაწყვეტილებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება, მშობელთა კრებებზე მშობლებს გააცნონ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებებზე მოუწევთ მუშაობა მათ შვილებს ახალ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში. **ესთეტიკის** კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს. მართალია, სკოლა ეყრდნობა ჩატარებულ კვლევას და ამის მიხედვით განსაზღვრავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ, საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართავადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული მასწავლებელი. ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე იგეგმება კათედრის წევრებს შორის სისტემატიური შეხვედრები სკოლის კურიკულუმისა და შუალედური მიზნების შესაბამისად. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც. გარდა, ამისა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მშობელთა ჩართულობის გაზრდა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს კიდეც, რომ ჩატარდა SWOT ანალიზი და მშობლებთან ერთად განიხილეს შედეგებიც. თუმცა, საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის ჩასართავადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. **სპორტის** მასწავლებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს და თვითშეფასების კითხვარიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. სასურველი იქნება სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

4. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ კათედრის წევრებთან შეთანხმებით სკოლამ დაგეგმა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ინსტრუქციები კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით. მათ ინფორმაციები მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ კურიკულუმებზე მუშაობის შესახებაც როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ შეხვედრებზე. ამ შეხვედრებზე განიხილება ძირითადად ზოგადი საკითხები, როგორიცაა: კურიკულუმი, შეფასების კრიტერიუმები, საერთო შესაძლებლობები და საჭიროებები. ამ და სხვა სასწავლო მიზნებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა დამრიგებელი იყენებს სოციალურ ქსელს, შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები. სკოლას აქვს ფეისბუქ-გვერდი. დირექტორის ბრძანებით, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი საინფორმაციო დაფისა და სოციალური ქსელის მეშვეობით სასკოლო საზოგადოებას სისტემატიურად აწვდის სკოლასთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს. ინტერვიუს დროს კი პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოს პროექტში ,,საქართველოსთვის," და ტრენინგებზე მიღებული გამოცდილების (და ერთ-ერთი მოსწავლის ძალისხმევით, რომელსაც კომპიუტერული მოწყობილობების ფლობის განსაკუთრებული მონაცემები აქვს) საფუძველზე თავად შექმნეს სკოლის ვებ-გვერდი (ვიზიტის დრო ვებ-გვერდი არ მუშაობდა), რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. სადაც სხვა მასალებთან ერთად გაზიარებული იქნება სასკოლო კურიკულუმი.

სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ შექმნილ კურიკულუმების, ფესტივალების მოწყობის, არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრის ოქმები*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*
- *სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურზე წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. აქტიურად ნერგავენ კოპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებს. **მათემატიკის** კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. საბაზო საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში), რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, მეშვიდე კლასის კურიკულუმში არსებული ხარვეზი (თემების, საკითხების, კონტექსტმაგალითების, კომპლექსური დავალებებისა და რესურსების შეუსაბამობა), საკმაოდ მცირე დროში გამოასწორეს და წარმოადგინეს განახლებული ვერსიის სახით. **უცხოურ ენებში** საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ შუალედურ მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირება იმდენად რამდენადაც ჩარჩოში მოცემული საკითხები და თემები მიემართება კომპლექსური ბუნების დავალებებს რაც სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში. თუმცა, უმჯობესი იქნება გარდა პრეზენტაციების მომზადებისა, მოსწავლეების ამ უნარების განვითარებისთვის კათედრამ შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობებიც. **საბუნებისმერყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია)** შემუშავებული კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. თითოეული საგნის კურიკულუმში ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალი, სასწავლო რესურსები. ხოლო იმ საკითხებისათვის, რომელზედაც კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალების განხორციელებაა დაგეგმილი, განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკობრივ თავისებურებებს და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. კომპლექსური დავალების იდეა-ში წარმოდგენილია შესასწავლი საკითხი და თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. საგან ,,ფიზიკა"-ში სკოლამ ვიზიტის მე-2 დღეს საბაზო საფეხურის ყველა კლასისათვის წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოს შესწორებული ვარიანტი, რომელშიც ჩარჩოს ახალი ფორმაა გამოყენებული. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგან ქიმიასა და ბიოლოგიაში საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო თავდაპირველ ფორმაშია წარმოდგენილი. აქვე, უნდა აღინიშნოს მცირედი უზუსტობები: საგან ბიოლოგიაში, მე-7 კლასში თემაში - სოკოები, სადაც განსაზღვრულია კომპლექსური დავალების განხორციელება, მითითებულია სამიზნე ცნება, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ქვეცნებები, ზოგიერთი ბმული არ იხსნება, ასევე მაგალითები შედარებისთვის ველში მეორდება ერთი და იგივე რესურსი: *,,როგორ შევქმნათ პოსტერი".* მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არასწორად არის წარმოდგენილი მაკროცნება. მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს შესწორებული ვარიანტი ვიზიტის მეორე დღეს იქნა წარმოდგენილი. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მცირედი უზუსტობებისა, როგორც ბიოლოგიის პედაგოგებმა აღნიშნეს, გაცნობიერებული აქვთ თუ რა უზუსტობებია საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში და ერთობლივი მუშაობისა და აზრთა გაზიარების შემდეგ მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოადგენენ კურიკულუმის საბოლოო სამუშაო ვერსიას. საგან ქიმიაში მე-9 კლასში ველში - ,,კომპლექსური დავალების პირობა" მკაფიოდ არ არის განსაზღვრული რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა დაამზადოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მცირედი უზუსტობების გასწორებას და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის წარმოდგენას პედაგოგები ზაფხულის განმავლობაში გეგმავენ. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** საბაზო საფეხურის 7-9 კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი განვითარების გზებზე. **საზოგადოებრივ მეცნიერებებში** საბაზო საფეხურის კურიკულუმი მოიცავს შემდეგ საგნებს: ისტორია, მოქალაქეობა და გეოგრაფია. შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს ესგ-ს მეთოდური რეკომენდაციებისა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოში სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. ყოველივე ეს დასტურდება, როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის, ასევე პედაგოგებთან შეხვედრის პროცესში მასწავლებელთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად. ინტერვიუს დროს ჩემი შეკითხვები ძირითადად მიემართებოდა სწორედ იმის გარკვევას რამდენად ჰქონდათ მასწავლებლებს კულიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესი გააზრებული. მასწავლებელთა გამოთქმულმა მოსაზრებებმა და პროცესის აღწერამ მოლოდინს გადააჭარბა კიდეც, რადგან სკოლა როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ბოლო პერიოდში ჩაერთო მიმდინარე რეფორმის პროცესის აქტივობებში.

2. მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII, VIII, IX კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - VII, VIII, IX კლასების კურიკულუმში ზოგადი ხასიათის რჩევებია:

- VII კლასის კურიკულუმში გამოყოფილია სავალდებულო თემატური ბლოკები, მაგრამ არ არის შესაბამისი თემა მითითებული; სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი მეორე ადგილზე გადმოსატანი და სამიზნე ცნებები სრულად უნდა დასახელდეს დავალების პირობასთან შესაბამის ქვეცნებებთან ერთად;

  ძირითადი საკითხი უფრო უნდა დაკონკრეტდეს დავალების პროდუქტან მიმართებაში;

  კონტექსტ მაგალითი არ არის გააზრებულად წარმოდგენილი;

  მხოლოდ მოცემულია ძირითადი რესურსი, საინტერესოა მასწავლებელი რომელ დამხმარე რესურს მოიაზრებს კომპლექსურ დავალებაზე მუსაობის პროცესში.
- VIII კლასის კურიკულუმში გამოყოფილია სავალდებულო თემატური ბლოკები, მაგრამ არ არის შესაბამისი თემა მითითებული; სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი მეორე ადგილზე გადმოსატანი და სამიზნე ცნებები სრულად უნდა დასახელდეს დავალების პირობასთან შესაბამის ქვეცნებებთან ერთად;

  ძირითადი საკითხი უფრო უნდა დაკონკრეტდეს დავალების პროდუქტან მიმართებაში;

  კონტექსტ მაგალითი კიდევ უფრო დაკონკრეტდეს თემასთან და შემოქმედებით პროდუქტან მიმართებით;

  მხოლოდ მოცემულია ძირითადი რესურსი, საინტერესოა მასწავლებელი რომელ დამხმარე რესურს მოიაზრებს კომპლექსურ დავალებაზე მუსაობის პროცესში.
- IX კლასის კურიკულუმში გამოყოფილია 2 სავალდებულო თემატური ბლოკები არ არის *„ადამიანი ხელოვნებაში“,* მართალია საატების რაოდენობა ცოტაა მაგრამ თითოეული ტამატური ბლოკი უნდა დაიფაროს და შესაძლებელია ყველა დავალება არ იყოს კომპლექსური, ამიტომ მასსწავლებელმა უნდა დაფაროს თითოეული სავალდებულო თემატური ბლოკი. არ არის წარმოდგენილი თემატური ბლოკის და დავალების შესაბამისი თემები;

  სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი მეორე ადგილზე გადმოსატანი და სამიზნე ცნებები სრულად უნდა დასახელდეს დავალების პირობასთან შესაბამის ქვეცნებებთან ერთად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ძირითადი საკითხი უფრო უნდა დაკონკრეტდეს დავალების პროდუქტან მიმართებაში;

კონტექსტ მაგალითი არ არის გააზრებულად წარმოდგენილი;

მხოლოდ მოცემულია ძირითადი რესურსი, საინტერესოა მასწავლებელი რომელ დამხმარე რესურს მოიაზრებს კომპლექსურ დავალებაზე მუსაობის პროცესში.

მუსიკა - VII,VIII,IX კლასების კურიკულუმში ზოგადი ხასიათის რჩევებია - რადგან სკოლა ჩაერთო ქოუჩინგის პირველ ნაკადში, მათ სხვა კურიკულუმის ჩარჩო მიეწოდათ- სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი გადასატანია მეორე ადგილას, კითხვა ისმის -შეძლებს სკოლა ამდენი კომპლექსური დავალების გახორციელებას? კარგია ამდენი კომპლექსური დავალება, მაგრამ სკოლამ უნდა გაითვალისწინოს რაოდენობა და იმდენი კომპლექსური მოიზაროს, რამდენსაც განახორციელებს. საბაზო, საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები, აგრეთვე ინტერვიუს დროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა წარმოადგინეს უკვე უკეთესად შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო, რაც იმაზე მეტყველებს რომ სკოლას აქვს მზაობა და რესურსი სექტემბრამდე დახვეწოს კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) *კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა.* **მათემატიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება შესასწავლი საკითხების მიმართულებების მიხედვით დაკლასტერებაში, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით. კურიკულუმში გაწერილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ასევე, „კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ასევე, „კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ამის დასტური იქნება კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილი, რომელშიც 2023-2024 სასწავლო წელს ყველა ცნების დამუშავების ეტაპები გაწერილი იქნება“ - აღნიშნავენ თვითშეფასების კითხვარში და ამავეს ადასტურებდნენ ინტერვიუების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ **უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები გამომდინარეობდა ესგ-დან თავდაპირველად გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო მიმართება კომპლექსური დავალების პირობასა და სამიზნე ცნებებს შორის. შესაბამისად, დანერგვის ინსტრუმენტები არ ეფუძნებოდა გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როდესაც ინტერვიუს დროს განვიხილეთ ერთი კონკრეტული მაგალითი, მასწავლებლებმა თავად აღმოაჩინეს შეცდომა და ხელმეორედ უკვე შესწორებული ვარიანტიც გამოაგზავნეს, რაც მიუთითებს მათ მზაობას რომ კურიკულუმი გახადონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული. **სპორტში** წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ: გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე და სტანდარტის შედეგებზე. **საზოგადოებრივ მეცნიერებებში** საბაზო საფეხურის კურიკულუმი შექმნილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი რაც კი მოცემულია კურიკულუმში: სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები ეყრდნობა და ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმში არ არის გამოკვეთილი კონკრეტულად, თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. თუმცა, კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები ითვალისწინებს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. შესაბამისად შიძლება მივიჩნიოთ რომ კურიკულუმი ემსახურება გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღწერეს კიდეც, თუ როგორ უწყობენ ხელს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას. მოიყვანეს სხვადასხვა სასკოლო თუ საკლასო პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის მაგალითებიც. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ მაგალითად, გეოგრაფიის კურიკულუმის ჩარჩოში იყო ტექნიკური ხარვეზები, არასწორ ადგილას ეწერა მაგალითებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სკოლამ მეორე დღისთვის წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტი. ასევე იყო მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოს შემთხვევაშიც.

3. **მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **მათემატიკის და ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ. გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **უცხოური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ენების კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან გამოიყენებენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს. ასევე, წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი კომპლექსური დავალების მაგალითზე. სადაც ისევ არ არის მიმართება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალების პირობას შორის, შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც არ მიემართება ყველა იმ სამიზნე ცნებას რაც ამ კონკრეტულ დავალებაში აქვთ აღნიშნული. უმჯობესი იქნება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწა და აქ სწორედ სამიზნე ცნებების სიღრმისეულად აღქმა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან გასაუბრების, სასკოლო სასწავლო გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე და ათვლის წერტილს არ წარმოადგენს სახელმძღვანელო და სხვა მსგავსი ორიენტირები. რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი კურიკულუმები, სადაც, საბუნებისმეტყველო საგნებში თითქმის ყველა თემაშია დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და სტრატეგიები. სასკოლო სასწავლო გეგმაში სპეციალური თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას. სადაც გაწერილია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, სკოლას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების შეძენასა და მათ განახლებას. ამჟამად, სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თითოეული საგნის მასწავლებელი ცდილობს სსსმ მოსწავლეებითვის შექმნას ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. **სპორტის** პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე არ იყო წარმოდგენილი ინდ. გეგმა, რადგან მათ აღნიშნეს რომ არ ჰყავთ ისეთი მოსწავლე, რომელიც ინდ. გეგმას საჭიროებს სპორტში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და განსხვავებულ რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

4. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშში წარმოდგენილი აქვს, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. პედაგოგების მიერ შევსებულ *„რესურსი 12-ში“* ასახულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. სკოლა იყენებს სასწავლო თემის შესაბამისად როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც წარმოდგენილია დანართი 3-ის სახით. მომავალი სასწავლო წლისთვის კი ირჩევენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე, ერთკომპონენტიან მოდელს. სამდღიანი შეხვედრების ფარგლებში, მოწოდებული ნიმუშის მიხედვით პედაგოგებმა შექმნეს ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, აღნიშნული რუბრიკა მტკიცებულებად არ არის წარმოდგენილი. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე სკოლაში განმავითარებელი შეფასება ხდება სასკოლო პროცესში მასწავლებლის მიერ მიცემული უკუკავშირის გზით. მოსწავლეთა შედეგების გაზიარება ხდება კათედრის შეხვედრებზე როგორც დასწრებულ, ასევე ონლაინ ფორმატით. მომავალში მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება მოხდება ისევ კათედრის სხდომებზე როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ონლაინ, ასევე დასწრებული ფორმატით. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები** გამოიყენებენ თავიანთ გამოცდილებას შეფასების რუბრიკების შექმნასთან დაკავშირებით და მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს თითოეული თემის ფარგლებში. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის **მუსიკასა** და **სახვითი და გამოყენებით** ხელოვნებაში იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, როგორც ინტერვიუზე, ასევე საგნობრივ ოქმში, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით სექტემბრისთვის, 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. **მათემატიკის** კათედრამაც გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია მეორე მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, შემაჯამებელ ოქმში აღნიშნავენ, რომ ყველა კლასში, ყველა თემაზე შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით, გააზრებული აქვთ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. სკოლაში ჩატარდა SWOT ანალიზი, სადაც გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაზე დაყრდნობითაც მოხდა დაგეგმვა. როგორც **უცხოური ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები გაწერილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებთ, თუმცა არის ზოგადი. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებს მიეცათ რჩევა სასწავლო პროცესში შეიმუშაონ თემების მიხედვით შეფასების რუბრიკები, რადგან არ ჰქონდათ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რუბრიკა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების სრულყოფას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა გეგმავს გამოიყენოს შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

5. სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. **მათემატიკის** მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში რამდენად არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება რაც ასევე დასტურდება დოკუმენტით - *"კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია".* **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ სკოლამ ჩაატარა კმაყოფილების კვლევა და ამის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა და აიგო კურიკულუმები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრებზე ერთობლივი მუშაობის, გაკვეთილებზე კოლეგების დასწრებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. აგრეთვე, კათედრების მიერ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. რესურსი 12-ში პედაგოგებმა ასახეს, რომ სკოლაში წლებია არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ტრადიცია და მას ჰქვია ,,სადირექტორი წერა", რომლის საფუძველზეც აკეთებენ ანალიზს და ადგენენ მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებებს სასწავლო პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია: ,,დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს“. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინდ. სასწავლო გეგმების ნიმუშებში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **სპორტის** პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების ინტერვიუსას გამოიკვეთა, ფიქრობენ რომ მომავალში კურიკულუმის დანერგვის პარალელურად გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულემები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *SWOT ანალიზი.*
- *თვითშეფასების დოკუმენტი*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუშები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ავტონომიურობას, ინდივიდუალურ საჭიროებებს და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. **მათემატიკის** და **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრებმა განსაზღვრეს, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე. ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. წარმოადგინეს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და მოსწავლეთა ნამუშევრები, საიდანაც ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. როგორც **უცხოური ენების** კათედრის ოქმშია აღნიშნული კომპლექსური დავალების შექმნის დიდი გამოცდილება სკოლას არ გააჩნია, თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალების პირობები მიემართება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ისინი ისედაც იყენებდნენ ოფიციალურად დაწერის გარეშე ისეთ აქტივობებსა და პროექტებს რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი აისახოს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშიც და დაიწეროს თუნდაც ერთი კომპლექსური დავალების პირობა თავისი სამიზნე ცნებებითა და კონტექსტ მაგალითებით. ასევე, ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები სწორედაც რომ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ არის მიმართული. გარდა, ამისა წარმოდგენილი დოკუმენტაციაც, უცხოური ენების წრეების შესახებ, მიუთითებს მოსწავლეთა მოტივაციასა და მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვაზე. **სპორტში** VII-IX კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები და საფეხურის ფარგლებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. ასეთი მიდგომები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს შემოქმედებითობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ სწავლებისას გამოყენებული აქტივობები და დავალებები მიმართულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. ახალი ცოდნის გადაცემა ხორციელდება წინარე ცოდნის საფუძველზე, გამოყენებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **მუსიკისა** და **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **მათემატიკის** და **ქართული ენისა და ლიტერატრის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში თითოეულ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, ამ ტიპის დავალებების შესრულება კი გულისხმობს ცოდნის აგების კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურებას. უცხოურ ენებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება და მასში აღწერილი საკვანძო შეკითხვები მიუთითებს, რომ ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კათედრას აქვს საკმარისი ცოდნა და მზაობა თუ როგორ მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მატთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ კურიკულუმებს არ ახლავს დანართი თემატური მატრიცების სახით, რომლებშიც ნათლად გამოჩნდებოდა რამდენად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლა აქცენტს აკეთებს მოსწავლესა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კომპლექსური დავალებებით მუშაობაზე. რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. საგაკვეთილო გეგმებში ნათლად ჩანს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ სწავლებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალებების შემთხვევაში ეტაპები ისეა გააზრებული, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი და ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. **სპორტის** პედაგოგებთან გასაუბრება და თვითშეფასების ფორმა მოწმობს, რომ შექმნილი კურიკულუმების ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია ესგ-ს მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. რაც ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირებას განაპირობებს.

3. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დიდი ყურადღება ეთმობა იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც გულისხმობს მოსწავლეების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებას, ანუ სწავლის სწავლას. მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეები აღჭურვონ ამ კომპეტენციით, რათა მათ საჭირო დროს ადვილად შეძლონ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. ამ მხრივ სკოლას აქვს გამოცდილება. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილზე იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს: სქემებს, დიაგრამებს, გასასვლელ ბარათებს. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების შუალედურ მიზნებად გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე. **მათემატიკის** და **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, მოსწავლეების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და დამუშავება შესაძლებლობები. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები სწავლის-სწავლაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე მიუთითებს. **უცხოური ენების** საშუალო საფეხურის კურიკულუმში ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის კიდეც წარმოჩენილი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ ცოდნას და გამოცდილებას ამ მიმართულებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე. **სპორტის** პედაგოგების თქმით, (თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს რომ), სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

4. კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით. **მათემატიკის** კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. **უცხოური ენების** მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების ცოდნა კონსტრუქტივისტული პრინციპებისადმი ხოლო ამის პრაქტიკაში გამოყენება დადასტურდა მათ მიერ მოყვანილი მაგალითებით. უმჯობესია, რომ ეს ყველაფერი იყოს ასახული კურიკულუმის ჩარჩოშიც და დადასტურებული დოკუმენტურადაც. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუსა და თვითშეფასების ფორმის გაანალიზების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებით ყველა კლასში და ყველა თემაზე მუშაობის გამოცდილება. თუმცა, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების საშუალებით, ცდილობენ ხელი შეუწყონ ცოდნის სამივე კატეგორიის: დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის გამოვლენას. მათ გასააქტიურებლად მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში სვამენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს, ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნას და გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტებისა და თეორიული მასალის დასწავლას, არამედ ამ ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რაც კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლემ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული საქმიანობის დროს. სკოლის მიერ ახალი შემუშავებული კურიკულუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის მაქსიმალურად მიმართვას ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ასეთი ტიპის დავალებებად ცალსახად მოიაზრება კომლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც აქტიურად დაიგეგმა ყველა კლასში. კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება. მასწავლებლებმაც სწორედ ეს აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით.

5. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. 2023-2024 სასწავლო წლისათის ყველა დისციპლინაში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას. ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი შესაძლებლობები და ასევე ამა თუ იმ საკითხზე დაგროვებული წინარე ცოდნა. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს სჭირდებათ არა მხოლოდ კონკრეტული საგნის, არამედ მომიჯნავე საგნების ცოდნაც. კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მიღწევადია. **მათემატიკის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი უნდა ააგონ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და გამოყენება. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი **უცხოურ ენებში** კომპლექსური დავალების სახით, სადაც მათ პირადი გამოცდილება უნდა დაეკავშირებინათ ნასწავლ მასალასთან და ისე წარემართათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუ. სასურველია მსგავსი კავშირები ჩანდეს კურიკულუმის ჩარჩოშიც. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მისაღწევია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.*
- *სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს - დაგეგმილ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას. **მათემატიკის** მასწავლებლები ორიენტირებული არიან კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრაც ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ მე-7, მე-8 და მე-9 კლასში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. **უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოცემული სამიზნე ცნებები რამდენიმე შემთხვევაში არ მიემართებოდა კომპლექსური დავალების საკითხებს. ასევე არ იყო კორელაცია სამიზნე ცნებებს, საკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს შორის, თუმცა არა ყველა შემთხვევაში რაც ინტერვიუს დროს ახსნეს იმით რომ ჩარჩოს შესამუშავებლად ჰქონდათ მხოლოდ 3 დღე და სისწრაფის დროს მოხდა რაღაც შეცდომების დაშვება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას არ ჰქონდა შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის გამოცდილება. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმში მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, რომლებიც საფეხურის შედეგებიდან გამომდინარეობს და მკვიდრი წარმოდგენები რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების არეალს. აგრეთვე, შუალედური სასწავლო მიზნები - კომპლექსური დავალებები. რომელთა განხორციელების დროს მკაფიოდ უნდა იქნას გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენასა და საგნობრივ საკითხებს შორის. რათა მოსწავლეებმა შეძლონ შესასწავლი თემის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევა. **სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუადვილებს ახალი აქტივობების გააზრებას დაა შესწავლას. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი.

2. კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები მაგ: *„მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და ინიციატივით გახორციელდა უკრაინელი ბავშვების დასახმარებელი აქცია; საშობაოდ და სააღდგომოდ ჩვენივე სკოლისა და ქალაქ ქუთაისის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების აქცია* " და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ **მათემატიკის** კათედრის მიერ შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზით დარწმუნდნენ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან საუბრისა და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება 21-ე საუკუნის უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, საკომუნიკაციო, თანამშრომლობითი და ასევე ისეთი ფუნქციური უნარების განვითარება, როგორიცაა მოქალაქეობა და ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითრებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადსხვა სოციალური პროექტი. სკოლას აქვს არაფორმალური განათლების გამოცდილება. **სპორტის** პედაგოგებთან გასაუბრების შედეგადაც ვლინდება და შექმნილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც, და შეთავაზებული რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ბმულები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვა და სხვა სოციალური პროექტები მაგ: *„მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და ინიციატივით გახორციელდა უკრაინელი ბავშვების დასახმარებელი აქცია; საშობაოდ და საღდგომოდ ჩვენივე სკოლისა და ქალაქ ქუთაისის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების აქცია.“* და სხვა ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება.

3. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: *„შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მათ ყოველთვის იციან, რომელი კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. სკოლაში USAID -საგაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნუვერსიტეტის ინიციატივით, ჩატარდა კვლევა განმავითარებელ შეფასებაში და სამიზნე აუდიტორიად შეირჩა ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების (მე-4 კლასები) მოსწავლეები.“* აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. მასალებში წარმოდგენილი არის შეფასების რუბრიკები **მათემატიკაში.** მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად ითვალისწინებენ არა მარტო მათი აკადემიური უნარების განვითარებას არამედ ცდილობენ შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს იმდენად რამდენადაც სწავლის პროცესში აფასებენ არამხოლოდ მოსწავლეების ცოდნას არამედ მიმართულია მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებაზე, რაც ასევე ასახულია კურიკულუმშიც. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების ამოცანები:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და პედაგოგები ცდილობენ შეფასების სისტემაც მორგებული იყოს ამ პროცესს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად შეფასების რუბრიკების შექმნას. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** საგნისთვის შერჩეული შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რისთვის მზაობასაც გამოხატა სკოლამ, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. დოკუმენტაციის განხილვისას გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა შეფასების დროს ყურადღება მახვილდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე. მასწავლებლები შეფასებისას იცავენ ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, რათა იცოდნენ რაში და რატომ ფასდებიან. შეფასების კრიტერიუმები იქმნება მოსწავლეებთნ ერთად. არის გამჭირვალე, მშობლებს აქვთ ინფორმაცია, როგორ ფასდებიან მათი შვილები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ენდობა სკოლის შეფასებას. მშობელთა მოთხოვნები განიხილება დახურულ ჯგუფებში, რომლებიც შექმნეს დამრიგებლებმა სოციალურ ქსელში. დირექციასთან შეხვედრისას მაქსიმალურად მხარდაჭერილია მშობელთა ინიციატივა. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი აირჩიეს განმსაზღვრელი შეფასების მეორე - ერთკომპონენტიანი მოდელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში მასწავლებლებმა შექმნეს კონკრეტული დავალებების კონკრეტული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. ასევე, განსაზღვრავს შეფასების ვალიდურობას, გამჭვიევალეობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას. **ესთეტიკის კათედრის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით; მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. **მათემატიკის** მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლის გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩამოყალიბებისას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, ითქვა, რომ მომზადდება კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეებსაც ჩართავდა ამ საქმიანობაში. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში და სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. **სპორტის** მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტს და იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, (კათედრის ოქმებიდანაც ჩანს). ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, თემების მიხედვით ახალაი რუბრიკების შექმნა რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

5. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები– ზუსტი. ამის დასტურია სკოლის მხრიდან ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები და შემდეგ საგნობრივ კათედრებზე ამ შედეგების განხილვა. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის მხრიდან ხშირი გაცდენების გამო ვერ ახერხებს, ზუსტად დაადგინოს მისი ,,აქტუალიური ზონა", ამიტომ იშვიათად, მაგრამ მაინც სკოლას უწევს სემესტრული გამოცდის ჩატარება. როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, „საკლასო წერა“. ინტერვიუზე უცხოური ენის მასწავლებელმა დაადასტურა, რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება, სკოლის, კათედრების დონეზე, ამიტომაც კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე. სკოლის თვითშეფასების განაცხადში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და **სპორტის** პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია

6. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ავტომატურად, უზუსტესი გამოთვლებით ადგენს მოსწავლის საბოლოო შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს. მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. შეფასების შედეგები გადადის მოსწავლის პირად საქმეებში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხის მონიტორინგი. ყველა დოკუმენტი შენახულია კანონის შესაბამისად. კლასისა და საფეხურის დაძლევა ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, ინფორმაციის შეგროვებასა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას სკოლა უზრუნველვყოფს კანონდებლობით დადგენილი წესით და ეს ინფორმაცია თავს იყრის როგორც დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სისტემაში, ისე მატერიალური სახით. კანონის შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *უცხოური ენების კათედრის ოქმი;*
- *სკოლის შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *კათედრების ოქმები.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს; გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხედულებები, შემლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების შექმნის დროსაც. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, რაც ასევე დადასტურდა მასწავლებლების მეირ ინტერვიუს დროსაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) განხილვისა და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო ცხოვრების პროცესი წარიმართება თანამშრორმლობით, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობითა და პასუხისმგებლობით, რაც მიმღებლობის და ღიაობის დამადასტურებელია.. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა მხარს უჭერს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივებს, რაც ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი, მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე და შექმნილი კურიკულუმების გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრების ჩართულობით ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებელთა მონათხრობი გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე, თუმცა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით ბევრია სამუშაო, ვინაიდან მოსწავლეთა ინტერესების სფერო ძალიან დიდია და მუდმივად საჭიროა, ფეხი ავუწყოთ მათ მოთხოვნებს. მოსწავლეები ინტერესდებიან სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახის კონკურსებით, ოლიმპიადებითა და ა.შ. თუმცა ამ კუთხით სკოლა ფიქრობს, რომ უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი და ისეთი მექანიზმის შემუშავებაა საჭირო, რომელიც მოსწავლეებს უფრო მეტად წაახალისებს, მათ წარმატებასა და პროგრესს უზრუნველყოფს. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონფერენციებში, სატელევიზიო, საქალაქო, რეგიონალურ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებს იღებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ოლიმპიადებში. წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

3. კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს; აგრეთვე აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესი და კურიკულუმი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ სუსტ და ძლიერ მხარეს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის სრულყოფა და მოსწავლის ინტერესებზე მორგება. ასევე ეწყობა შეხვედრები მოსწავლეებსა და მასწავლებელთა შორის. რაც ხელს უწყობს, კომუნიკაციას. სკოლაში მოქმედებს ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული0 და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემასა და უნარ ჩვევების განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთა ინტერვიუს დროს და დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის ისე წარმართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური სასკოლო/საკლასო კლიმატი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები უფრო კარგად იგრძნობენ თავს, ექნებათ შესაძლებლობა, უფრო მეტი ცოდნა შეიძინონ და საჭირო უნარები გამოიმუშაონ. პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისთვის საჭირო აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის. მოსწავლეთა დამეგობრებისა და პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება და ხორციელდება კლასგარეშე აქტივობებიც, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **სპორტის** პედაგოგებთან გასაუბრებით და სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ, სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აფიქსირებენ გაუმჯობესების მეტი მზაობას. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კათედრის ოქმიები;*
- *თვითშეფასების დოკუმენტი;*
- *სამოქმედო გეგმა;*
- *საგაზო საფეხურის კურიკულუმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მეირ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პუნქტები კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: დიაგნოსტიკური შეფასებებით, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევითა და სკოლის ინსტუტიციური განვითარებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლები კათედრებზე განიხილავენ მოსაწავლეების მიღწევებს და პრობლემებს, შეირჩა დიაგნოსტირების ერთერთი ინსტრუმენტი *„საკლასო წერა“*. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია საკლასო წერის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. ინტერვიუს დროს უცხოური ენების კათედრის წევრებმა ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება არა სპონტანურად, არამედ, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ აპირებს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. რაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და აღწერს: ა) რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და ბ) რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის პროცესში კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას სამი მიმართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, გააანალიზებენ და ასახავენ შესაბამის დოკუმენტში. ე.ი. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

2. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია არა დასჯა-წახალისებად, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის ხარისხის პროცესის შეფასების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი. შექმნილია სწავლის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითრების მხარდამჭერი ჯგუფი /ხარისხის მართვის ჯგუფი. ეს ჯგუფი აანალიზებს მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებსა და აძლევს მათ უკუკავშირს. კათედრების მიხედვით აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის ხარისხის პროცესის შეფასების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი. შექმნილია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითრების მხარდამჭერი ჯგუფი /ხარისხის მართვის ჯგუფი (უფროსი...წამყვანი...მენტორი...). ეს ჯგუფი აანალიზებს მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებსა და აძლევს მათ უკუკავშირს. კათედრების მიხედვით აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასურველი იქნება, ამ მექანიზმის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენაც. **სპორტისა და ესთეტიკის** კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის მშეხვედრის ოქმებიდან იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ს შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისათვის)
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისათვის).

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით **ესთეტიკის კათედრა** გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ქართულის კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ქართული ენისა და ლიტერატურის შემაჯამებელი ოქმი;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის თვითშეფასება;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების ანგარიშის, ინტერვიუების და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე, ვლინდება, რომ სასწავლო პროცესში შეფასებას, განსაკუთრებით განმავითარებელ შეფასებას მნიშვნელოვანი როლი უკავია. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება: მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მოლოდინების განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი, თვითშეფასება და თვითრეგულაცია, თანამშრომლობითი და ურთიერთსწავლების მეთოდოლოგია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების წახალისება და კომპლექსური დავალებების მიცემა. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას. სკოლას, აგრეთვე, წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები," რომელიც სასწავლო პროცესის შეფასებისთვის ითვალისწინებს სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას, მათი მოლოდინების განსაზღვრასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზს. გარდა გამოკითხვებისა, პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმში ვკითხულობთ, მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება კათედრის წევრებს შორის კათედრის სხდომებზე, ხოლო მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაცნობა/გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება კათედრის სხდომებსა და პედსაბჭოზე. შესაბამისად, შეფასება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** საგნის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, პედაგოგებთან ინტერვიუსას იკვეთება, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგები ენით მიწოდებაში, რომელიც მიმართულია მოსწავლეების ჰოლისტური განვითარებისაკენ და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქუთაისის 1 საჯარო სკოლის პედაგოგებს გაანალიზებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე; მოსწავლეთა საჭირებების დადგენა, მოლოდინების განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი, თვითშეფასება და თვითრეგულაცია, თანამშრომლობითი და ურთიერთსწავლების მეთოდოლოგია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების წახალისება. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც მორგებული იყოს ამ პროცესს. შესაბამისად, იყენებენ რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. კათედრები წლის დასაწყისში თანხმდებიან შეფასების საკვანძო საკითხებზე. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და ამ ტიპის შეფასება კლასში ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში მასწავლებლებმა შექმნეს კონკრეტული დავალებების, კონკრეტული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში განსაზღვრულია საბუნებისმეტყველო საგანებში კომპლექსური დავალებების გამოყენება, რომლებიც მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საშუალებას იძლევა. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. აღნიშნეს, რომ იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა. თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. შეფასების რუბრიკები **ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში** საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომელიც მიმართული იქნება იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოს შეფასება მრავალ კონტექსტში, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. სკოლამ გამოთქვა ამისთვის მზაობა.

3. მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების წარმოებასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკურ შეფასების წარმოებას. როგორც თვითშეფასების კითხვარშიც არის აღნიშნული, მომავალი წლიდან იგეგმება კომპლექსური დავალების ყველა კლასში ჩატარება, რისი მზაობაც ინტერვიუს დროს ნამდვილად გამოჩნდა, შესაბამისად, გამოყენებული იქნება მეტად მრავალფეროვანი მეთოდები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საგნებში (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) ყველა კლასში მოსწავლეთა შესაფასებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის საშუალებითაც ადასტურებს საკუთარ ცოდნას შესასწავლ საკითხთან (ქვესაკითხთან) მიმართებით, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ასევე, გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასება. ეს შეფასებები დაეხმრებათ სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვაში. როგორც პედაგოგების მიერ შედგენილ *„რესურსი 12-შია“* ასახული, მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასებისთვის გამოიყენებენ *„საკლასო წერას.”* ასევე, გეგმავენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელის გამოყენებას. შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვნება, მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება, გამოკითხვა და სხვა. მასწავლებლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით. სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე) მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა **სპორტში,** საბაზო საფეხურზე, ნაკლებად შეიმჩნეოდა ამისი პრაქტიკა. ინტერვიუში, პედაგოგებმა, გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. თუმცა ამ ეტაპზე არ აქვთ შერჩეული და წარმოდგენილი სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. მათ მიეცათ რჩევა და შეარჩევენ ინსტრუმენტს შეთავაზებული ვარიანტებიდან.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარეობს, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ მულტიფაქტორული მიდგომით. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ. ნებისმიერი პროცესის თუ მოვლების შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ დროსა და სივრცეს, რადგან აცნობიერებენ მოვლენათა ურთიერთდეტერმინიზმს. ითვალისწინებენ ყველა ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა შედეგზე. მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ. ნებისმიერი პროცესის თუ მოვლების შეფასებისას, სკოლის წარმომადგენლები ითვალისწინებენ დროს და სივრცეს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის ნარატივიდან, იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალში, **სპორტშიც** მოხდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაში ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა სპორეტში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი ოქმი;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის. როგორც უცხოური ენების კათედრის ოქმშია აღნიშნული, მასწავლებლები ხედავენ კურიკულუმის შეცვლისა და განვითარების საჭიროებას ამის განსახორციელებლად კი თვლიან რომ სჭირდებათ მეტი პრაქტიკა და ქოუჩების მხრიდან მეტი ტრენინგი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარშიც წერია რომ სკოლას ჰყავს რამდენიმე ქოუჩი რომლებიც სკოლას და სკოლის თანამშრომლებს დაეხმარებიან კურიკულუმის დახვეწასა და გაუმჯობესებაში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრაზე იმართება ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები. სასწავლო პროცესის მუდმივი პროცესი იგეგმება დირექციის მხრიდან. მომავალი სასწავლო წლისათვის მუშავდება საჭიროებათა პაკეტი და ხდება თვითშეფასება. მუშავდება ცვლილებათა ნუსხა, რომელიც აისახება მომავალი წლის სამუშაო გეგმაში. რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რადგან ჯერ-ჯერობით გამოცდილება არა აქვთ, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას მიმდინარე ანალიზის, მასწავლებელთა რეფლექსიის, მოსწავლეთა თვითშეფასების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შედეგების განხილვაზე დაყრდნობით სკოლა დაადგენს საჭიროებებს კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებით.

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული. უცხოური ენების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და კათედრის ოქმით დადასტურდა, რომ კურიკულუმის შემუშავება მოხდა მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღინიშნა რომ მასზე მუშაობდნენ ერთად, რადგან სკოლას არ აქვს ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება. აპირებენ და ახორციელებენ მონიტორინგს რის შემდეგაც კვლავ მოხდება კურიკულუმის გადამუშავება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *თვითშეფასების კითხვარი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ჩაშენებულია სკოლის სასწავლო გეგმაში, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში, აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოში, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას გააჩნია შესაბამისი პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აღწერს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს (საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიდებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.)

- პრინციპებს, რომლებსაც მიემართება კურიკულუმის განვითარების პროცესი (სადაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება ესგ-ის შესაბამისად, განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლებების შესწავლის საფუძველზე, კურიკულუმის განვითარება მოხდება სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს მათ პრიორიტეტებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარება მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებთან, როგორიცაა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროები, აგრეთვე, სკოლაში მიმდინარე მმართველობით პროცესებთან)

- კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია და განახლება.) სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ში იკითხება და პედაგოგებთან გამართულ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი ერთი მხრივ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, მეორე მხრივ კი წარმოაჩენს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) შორის და იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სპორტის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა სკოლაში კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის პირობებშიც პედაგოგები სკოლის, მოსწავლეების საჭიროებებისა და სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისი. რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენის მასწავლებლებმა, ინტერვიუს დროს ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში" ჩანს და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს (2022-2023) გავლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექციის მონაწილეობა. თითოეულ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს - შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთანეთის მოსაზრებებსა და გამოცდილებას. **ტექნოლოგიების** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები. გარდა ამისა, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დამატებით აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. ითვალისწინებენ ერთანეთის (კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები-კათედრის წევრები) მოსაზრებებსა და გამოცდილებას. აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. **მათემატიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. **სპორტის** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებეს- შესაძლებლობეს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული მასწავლებელი და რომ ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე იგეგმება კათედრის წევრებს შორის სისტემატიური შეხვედრები სკოლის კურიკულუმისა და შუალედური მიზნების შესაბამისად. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც. გარდა ამისა, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მშობელთა ჩართულობის გაზრდა. ინტერვუს დროს აღნიშნეს კიდეც, რომ ჩატარდა SWOT ანალიზი და მშობლებთან ერთად განიხილეს. თუმცა, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის ჩასართავადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები - ყოველივე ეს გათვალისწინებულია მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება კონცეპტუალურ ჩარჩოსა და კურიკულუმის დიზაინზე, რომელიც თავის მხრივ, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. სადაც იკვეთება კავშირი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. რასაც ადასტურებენ პედაგოგებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს საგნის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრებზე. მათი ერთობლივი შეთანხმებით იქნა მიღებული გადაწყვეტილებები: კლასების მიხედვით სავალდებულო თემების ფარგლებში საკითხებისა და ქვესაკითხების (რომლითაც გეგმავენ გრძელვანიან მიზნებზე ორიენტირებას) შერჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე, აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევასთან დაკავშირებით, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა სასწავლო წელს, რაც დასტურდება მასწავლებელთა მონათხრობითა და სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერით კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების ტრადიციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება, მშობელთა კრებებზე მშობლებს გააცნონ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებებზე მოუწევთ მუშაობა მათ შვილებს ახალ 2023-2024 სასსწავლო წლის განმავლობაში. პარალელური კლასების ფარგლებში პედაგოგები შეთანხმდნენ თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ გადაწყვეტილებაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს. სასურველია, სკოლამ კვლავ განაგრძოს დამატებითი, ახალი აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების აქტიურად ჩასართავად კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, იგივე გამოიკვეთა **ქართულის ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, მართალია, სკოლა ეყრდნობა ჩატარებულ კვლევას და ამის მიხედვით განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია და **საბუნებისმეტყველო** მეცნიერებების პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კათედრის წევრებთან შეთანხმებით სკოლამ დაგეგმა სასწავლო წლის დასაწყისში მშობელებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ინსტრუქციები კომპლექსურ დავალებების სპეციფიკასთან დაკავშირებით. მათ ინფორმაციები მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ კურიკულუმებზე მუშაობის შესახებაც როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ შეხვედრებზე. ამ შეხვედრებზე განიხილება ძირითადად ზოგადი საკითხები, როგორიცაა: კურიკულუმი, შეფასების კრიტერიუმები, საერთო შესაძლებლობები და საჭიროებები. ამ და სხვა სასწავლო მიზნებისათვის ყველა დამრიგებელი იყენებს სოციალურ ქსელს, შექმნილი აქვთ მშობელთა დახურული ჯგუფები. სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი. დირექტორის ბრძანებით, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი საინფორმაციო დაფისა და სოციალური ქსელის მეშვეობით სასკოლო საზოგადოებას სისტემატიურად აწვდის სკოლასთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია და **ესთეტიკური აღზრდის** და **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. **სპორტის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შექმნილ კურიკულუმების, ფესტივალების მოწყობის და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. თუმცა სკოლას არ აქვს ჯერ-ჯერობით ვებ- გვერდი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *კათედრის ოქმები*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებით საფეხურზე წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. აქტიურად ნერგავენ კოპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებს. **ბუნებისმეტყველებაში** შემუშავებული კურიკულუმები (I-IV და V-VI კლასები) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან ერთვის დაგეგმილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ბარათები. თითოეული საგნის კურიკულუმში ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, როგორც ზოგადი ასევე კერძო. ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალი, სასწავლო რესურსები. ხოლო იმ საკითხებისათვის, რომლებზედაც კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალების განხორციელებაა დაგეგმილი, განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკობრივ თავისებურებებს და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. კომპლექსური დავალების იდეა-ში წარმოდგენილია შესასწავლი საკითხი და რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. გამონაკლისს წარმოადგენს მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო, სადაც წარმოდგენილია იმ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თემები, რომელიც სკოლას აქვს არჩეული, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული თემებისა. ასევე, არ არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები: სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. კომპლექსური დავალების პირობის სვეტში არ ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა დაამზადოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები განსაზღვრულია ძველი სტანდარტის მიხედვით. მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კი სვეტში ,,ძირითადი საკითხი/ ქვეთემები“ გარდა ძირითადი საკითხისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეაც. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, რა უზუსტობები აქვთ დაშვებული, თუმცა მცირე დროში სრულყოფილი კურიკულუმის ჩარჩოს წარმოდგენას ყველა კლასისთვის ვერ მოახერხებდნენ. ამიტომ აღნიშნული უზუსტობების გასწორებას და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის წარმოდგენას პედაგოგები ზაფხულის განმავლობაში გეგმავენ კათედრებზე განხილვისა და თანამშრომლობის შემდეგ. იმის დასადასტურებლად, რომ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ნამდვილად შეუძლიათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ვიზიტის მეორე დღისთვის წარმოადგინეს მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებების ბარათები და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების გაკვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყენებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კოპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **მათემატიკის** კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, I-IV და V-VI კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. **„მე და საზოგადოების“** და **„ჩვენი საქართველოს“** კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია თემა და საკითხები, ზოგ შემთხვევაში სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; სასწავლო პროცესისთვის შერჩეულია შესაბამისი რესურსები. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. ყოველივე ეს დასტურდება როგორც წარმოდგენილი კურიკულუმის, ასევე პედაგოგებთან შეხვედრის პროცესში მასწავლებელთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად. ინტერვიუს დროს ჩემი შეკითხვები ძირითადად მიემართებოდა სწორედ იმის გარკვევას რამდენად ჰქონდათ მასწავლებლებს კულიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესი გააზრებული. მიუხედავად იმისა რომ სკოლა, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ბოლო პერიოდში ჩაერთო მიმდინარე რეფორმის პროცესის აქტივობებში, შეიძლება ითქვას, რომ გაუმკლავდა გამოწვევას და მასწავლებელთა გამოთქმულმა მოსაზრებებმა და პროცესის აღწერამ აჩვენა სკოლის მზაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. სკოლის **ფიზიკური აღზრდის** დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მე-3 თაობის ესგ-ის სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში და ინტერვიუების დროსაც აღინიშნა სკოლას არ აქვს შუალედური მიზნების ჩამოყალიბებისა და განხორციელების დიდი გამოცდილება ამიტომაც დაწყებით საფეხურზე (1-6 კლასები) წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში არ იყო გამოკვეთილი თუ რამდენად წარმოადგენს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, იმდენად რამდენადაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ თემა, საკითხი და რესურსები სადაც მითითებული იყო მხოლოდ გვერდი სახელმძღვანელოდან. დაწყებით საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, მე-5 და მე-6 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (ფაქტობრივად ყველა თემის ფარგლებში), რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რაც შეეხება I-IV კლასებს, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოკვეთილი რიგი ხარვეზები, კერძოდ, შეუსაბამობა სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, საკითხებსა და კომპლექსურ დავალებებს შორის. მაგალითად მე-4 კლასში პირველივე თემაში კონტექსტმაგალითად წარმოდგენილია ცხოვრებისეული მაგალითი, ამ ტერმინის მნიშვნელობა არასწორადაა გაგებული, კომპლექსურ დავალებად მასწავლებლები მოიაზრებდნენ დისკუსიას თემაზე „ძალა ერთობაშია“, ხოლო ქვეცნებებად განიხილავენ მოთხრობას, ანდაზას, სამეტყველო ქმედებებს და ა.შ. *შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზები და წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია, რომელშიც სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კომპლექსური დავალებები, თემები ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან.*

2. მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები **(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები)** მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული. კერძოდ:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება -

- I კლასის კურიკულუმში გაწერილია ერთი კომპლექსური დავალება და არ არის შევსებული სრულად სხვა თემებში მოცემული სვეტები. არ არის სამივე თემატური ბლოკი მოცული და შევსებული - სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რესურსები, კომპლექსური/კომპლექსრი ტიპის დავალებები. მასწავლებლებს უჭირთ კონტექსტ მაგალითების გააზრება.
- II კლასის კურიკულუმის ჩარჩოდ გამოყენებულია ქართულის კურიკულუმის ჩარჩო და ჩარჩენილია ქართულის საკითხები, არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის სრულად წარმოდგენილი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, მასწავლებლებს უჭირთ კონტექსტ მაგალითების გააზრება. არ არის წარმოდგენილი რესურსები რომლებსაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესში.
- III კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სავალდებული თემატური ბლოკები, მსხვილი თემები, გაუაზრებლად არის ჩაყრილი საკითხის სვეტში ბევრი საკითხი, ვერ იაზრებენ კონტექსტ მაგალითებს, ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები.
- IV კლასის კურიკულუმში არ არის გამოყოფილი სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები(მხოლოდ ქვეცნებებია), არ არის გააზრებული კონტექსტ მაგალითი და სრულად არ ებმის კომპლექსური დავალების იდეას.
- V კლასის კურიკულუმში არ არის გამოყოფილი სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები სრულად და კომპლექსური დავალების შესაბამისი ქვეცნებები, არ არის გააზრებული კონტექსტ მაგალითები და სრულად არ ებმის კომპლექსური დავალების იდეას. რესურსების სვეტიც გადასახედია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- VI კლასის კურიკულუმში არ არის გამოყოფილი სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები სრულად და კომპლექსური დავალების შესაბამისი ქვეცნებები, არ არის გააზრებული კონტექსტ მაგალითები და სრულიად არ ებმსი კომპლექსური დავალების იდეას. რესურსების სვეტიც გადასახედია.

მუსიკა -

- I, II, III, IV,V ,VI კლასების კურიკულუმში ზოგადი ხასიათის რჩევებია - რადგან სკოლა ჩაერთო ქოუჩინგის პირველ ნაკადში, მათ სხვა კურიკულუმის ჩარჩო მიეწოდათ- სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სვეტი გადასატანია მეორე ადგილას, კითხვა ისმის - შეძლებს სკოლა ამდენი კომპლექსური დავალების გახორციელებას? კარგია ამდენი კომპლექსური დავალება, მაგრამ სკოლამ უნდა გაითვალისწინოს რაოდენობა და იმდენი კომპლექსური მოიზაროს, რამდენსაც განახორციელებს. საკითხი/საკითხთა კლასტერში სასურველია, ჯერ გამოიკვეთოს საკითხი მუსიკით აღწერა, ხოლო შემდგომ ბმა თემასთან, ანუ დაკონკრეტება.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, სექტემბრამდე დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. მათ აგრეთვე ისაუბრეს სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) რაც შესაძლებლობას იძლევა, დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა. **ბუნებისმეტყველების** კურიკულუმები, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს და საფეხურის შედეგებს. რაც ასახულია თითოეული კლასისათვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც ჩანს კორელაცია სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ ქვესაკითხებს შორის. გამონაკლისს წარმოადგენს მე-2 კლასის კურიკულუმი, სადაც არ არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები: სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურხე ხორციელდება პროექტები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **კომპიუტერული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუს განმავლობაში, ერთადერთი რჩევა იყო მეტად დაეკონკრეტებინათ და გაეშალათ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები. ასევე გაითვალისწინონ რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონტექსტ მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, ჩვენი საგანის ფარგლებში, გაერთიანდა. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ სვეტი „მაგალითი შედარებისთვის“, რომელიც გახლავთ თითოეული კომპლექსური დავალების დასრულებული, მზა ნიმუში (უკვე შექმნილი თამაშის, ანიმაციის, პოსტერის, ფლაერის, პრეზენტაციის, ვიდეორგოლის და ა.შ ნიმუში). ვფიქრობ, საჭიროების შემთხვევაში, ამ მინიმალური ცვლილების შეტანა სექტემბრამდე მასწავლებლებისთვის მარტივი იქნება. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წარმოდგენებთან. **მათემატიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, მაგრამ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რაც გამოიხატება შესასწავლი საკითხების მიმართულებების მიხედვით დაკლასტერებაში, რის შესახებაც პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომ საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უნარების გააქტიურებასაც. ასევე, „კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **„მე და საზოგადოების“** ფარგლებში 3-4 კლასებისთვის შექმნილ კურიკულუმში მოცემული სავალდებულო თემა, ცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები ეყრდნობა და ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ის ნაწილი რაც გაწერილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე კი არის ორიენტირებული, თუმცა კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის შევსებული ყველა კომპონენტი. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს კი აღწერეს, თუ როგორ უწყობენ ხელს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას, მაგრამ ვინაიდან მე და საზოგადოების კურიკულუმში არ არის სრულად შევსებული ველები, არ გვაქვს დამატებითი ინფორმაცია, რა აქტივობებისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენებას გეგმავენ დაწყებითების მასწავლებლები, რთულია იმის თქმა რამდენად სრულად მიემართება კურიკულუმი ესგ-ს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. საგნის ,,ჩვენი საქართველო“ ფარგლებში 5-6 კლასებში შექმნილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი რაც კი მოცემულია კურიკულუმში: სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები ეყრდნობა და ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. საგან ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმი განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები ითვალისწინებს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღწერეს კიდეც, თუ როგორ უწყობენ ხელს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას. მოიყვანეს სხვადასხვა სასკოლო თუ საკლასო პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის მაგალითებიც. **ფიზიკური აღზრდაში** შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობა და თვითკონტროლის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; გლობალური ფუნქციური უნარებსა (6 უნარი და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. **უცხოურ ენაში** არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დოკუმენტები რაც დაადასტურებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი ჯგუფის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი მე-5-მე-6 კლასის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. რთულია იმავეს თქმა I-IV კლასის შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბევრი შეუსაბამობაა კურიკულუმის ჩარჩოს შემადგენელ კომპონენტებს შორის. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს იმაზე, თუ რომელ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს გააქტიურებდნენ ამ დავალებით, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ მზაობა და შესაძლებლობა გრძელვადიანი მიზნების მართებულად განსასაზღვრად, მაგრამ ეს არ არის ასახული მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. *დაწესებულების მიერ წარმოიდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 07 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმების გადახედვა, კურიკულუმის ჩარჩოს შემადგენელ კომპონენტებს შორის შესაბამისობის დადგენა, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ასახვა კურიკულუმში და თემების შესაბამისი ოდენობის კომპლექსური დავალებების შეტანა კურიკულუმში. თუმცა გეგმას თან ახლდა განახლებული დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იყო ცვლილებები. დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულებამ გამოასწორა არსებული ხარვეზები. წარმოდგენილი დოკუმენტი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულად აღწერს თუ როგორ, რისი გათვალისწინებით უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი.*

3. **მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საგნების პედაგოგებთან გასაუბრების, სასკოლო სასწავლო გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე და ათვლის წერტილს არ წარმოადგენს სახელმძღვანელო. რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი კურიკულუმები, სადაც, ბუნებისმეტყველებაში ყველა კლასში, ყველა თემაშია დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და სტრატეგიები. სასკოლო სასწავლო გეგმაში სპეციალური თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას. სადაც გაწერილია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთ. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, სკოლას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების შეძენასა და მათ განახლებას. ამჟამად, სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და განსხვავებულ რესურსებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი. შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **მათემატიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. ინტერვიუს დროს საგან **„მე და საზოგადოების“** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და განსხვავებულ რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. საგან **„ჩვენი საქართველოს“** კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, პროცესის განმავლობაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. ინტერვიუს დროს **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურად შემუშავებული ინდგეგმის საშუალებით, ფიზიკურ აქტივობებს არგებენ მოსწავლეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის ინკლუზიური მიდგომებს და სამომავლოდაც იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და სახვეწა რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ამ ეტაპზე არ იყო წარმოდგენილი ინდ გეგმა, რადგან მათ აღნიშნეს რომ არ ყავთ სსსმ მოსწავლე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც ფიზ. აღზრდაში საჭიროებს ინდ. გეგმას. როგორც **უცხოური ენების** მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, დაწყებით საფეხურზე ზეპირი უკუკავშირის გარდა ასევე იყენებენ კომენტარების დაწერას, სხვადასხვა სახის ჩანახატებს (ვარსკვლავები, გულები და ა.შ.). **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

4. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუშში წარმოდგენილი აქვს, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება V კლასის მეორე სემესტრიდან იწყება. ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. შესაბამისად ბუნებისმეტყველების პედაგოგები იყენებენ როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი ირჩევენ განმსაზღვრელი შეფასების მეორე, ერთკომპონენტიან მოდელს, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. **ბუნებისმეტყველების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებას V-VI კლასებისათვის. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ საგან ბუნებისმეტყველებაში განმავითარებელი შეფასება ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ მიცემული უკუკავშირის გზით. ასევე, მოსწავლეები წერილობითი განმავითარებელი შეფასებით ფასდებიან ყოველი კლასის ბოლოს. პედაგოგებმა წარმოადგინეს IV კლასის მოსწავლეების წერილობითი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინდ. სასწავლო გეგმების ნიმუშებში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. მოსწავლეთა შედეგების გაზიარება ხდება კათედრის შეხვედრებზე როგორც დასწრებულ, ასევე ონლაინ ფორმატით. მომავალში მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება მოხდება ისევ კათედრის სხდომებზე როგორც ონლაინ, ასევე დასწრებული ფორმატით. მასწავლებლები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუსიკასა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, როგორც ინტერვიუზე, ასევე საგნობრივ ოქმში, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით სექტემბრისთვის- 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. საგანში **„კომპიუტერული ტექნოლოგიები“** გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. კომპიუტერი ტექნოლოგიების მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. პედაგოგებმა აღნიშნეს, როგორც ინტერვიუზე, ასევე საგნობრივ ოქმში, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით სექტემბრისთვის- 2023-2024 სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე. **მათემატიკის** კათედრამაც გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია მეორე მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების რუბრიკებიც, მაგრამ მათემატიკის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი სანიმუშო რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. სკოლა **„მე და საზოგადოებაში“** იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. საგანი ,,მე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და საზოგადოება“ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების სრულყოფას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. სკოლა საგნისთვის ,,ჩვენი საქართველო“ იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. საგნის მასწავლებლებმა აქაც აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების სრულყოფას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები **ფიზიკური აღზრდის** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებთ, არის ზოგადი. არ ჰქონდათ შემუშავებბული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (ეს აღნიშნეს მე-12 დოკუმენტშიც). მიეცათ რჩევა სასწავლო პროცესში შეიმუშაონ თემების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

5. სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ, სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდნენ ახლანდელ გამოცდილებას. სავარაუდოა, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. **საბუნებისმეტყველო** მეცნიერებების პედაგოგებთან ინტერვიუთი და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრებზე ერთობლივი მუშაობის, გაკვეთილებზე კოლეგების დასწრებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგან ბუნებისმეტყველებაში V-VI კლასებისათვის კათედრაზე ხდება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღსანიშნავია, რომ ინდ. სასწავლო გეგმების ნიმუშებში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კათედრის დოკუმენტაცია ადასტურებს და **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგადაც, ნათელია, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. როგორც **უცხოური ენების** ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ სკოლამ ჩაატარა კმაყოფილების კვლევა და ამის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა და აიგო კურიკულუმები 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შეფასების რუბრიკები*
- *საგნობრივი კურიკულემები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *SWOT ანალიზი.*
- *თვითშეფასების დოკუმენტი*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუშები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილია, რომ შერჩეული თემები წარმოადგენს გამამთლიანებელ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება შედეგების გააზრება, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და ფუნქციური უნარების განვითარებას. საგან **ბუნებისმეტყველების** კურიკულუმში გათვალისწინებულია ყველა თემაზე შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. საგან ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, ამას აგრეთვე ხელს უწყობს კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითები, შერჩეული რესურსები, მათ შორის ელექტრონული, მოსწავლეს შემოქმედებით ინტერესს აგრეთვე უღვივებს საინტერესოდ შერჩეული კომპლექსური დავალებების პროდუქტები. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ახალი ცოდნის გადაცემა ხორცილედება წინარე ცოდნის საფუძველზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული მიდგომა. აქცენტი კეთდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს უქმნის სასწავლო მოცემულობას, ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ თითოეულ თემაში დაგეგმილი შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალებების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდასა და აქტიურ სწავლაში ჩართულობას. სკოლამ თვითშეფასების კითხვარში ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ავტონომიურობას, ინდივიდუალურ საჭიროებებს და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლამ კითხვარში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. დაწყებით საფეხურზე **მათემატიკის** კათედრამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს კი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც. წარმოადგინეს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ფიზიკურ აღზრდაში** დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები და დაწყებითი საფეხურზე მოწყობილი სპორტული ღონისძიებები და ფესტივალები სადაც ჩართულია ყველ მოსწავლე და ინფორმირებულია მშობელი, იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს შემოქმედებითობა. როგორც **უცხოური ენების** კათედრის ოქმშიც არის აღნიშნული კომპლექსური დავალების შექმნის დიდი გამოცდილება სკოლას არ გააჩნია შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული იყო მხოლოდ სახელმძღვანელოდან ამოღებული თემები, ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალების არცერთი პირობა (მათ შორის არც ხელახლა გადმოგზავნილ დოკუმენტში). ვინაიდან, დაწყებით საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივმა ჯგუფმა განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც.

2. **მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ვიზიტის დროს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებს არ ახლდა დანართი თემატური მატრიცების სახით, რომლებშიც ნათლად გამოჩნდებოდა რამდენად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლა აქცენტს აკეთებს მოსწავლესა და ეროვნული სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებულ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კომპლექსური დავალებებით მუშაობაზე. რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ასევე ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესსა და კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და კურიკულუმის ჩარჩოშიც ჩანს, რომ ისინი ყველა თემაში გეგმავენ შუალედური სასწავლო მიზნის, კომპლექსური დავალების განხორციელებას და შესაბამისად, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ სწავლებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალებების შემთხვევაში ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი და ცოდნის კონსტრურება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **„მე და საზოგადოების“** და **„ჩვენი საქართველოს“** საგნობრივი კურიკულუმი აგებულია ესგ-ს მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. რაც ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირებას განაპირობებს. **ფიზიკურ აღზრდაში** ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნს.. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენებას და აღქმას.. შედეგად. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. იქიდან გამომდინარე, რომ **უცხოურ ენებში** დაწყებით კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მოიცავდა მხოლოდ თემებს, რთულია განსაზღვრა თუ რამდენად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათ ეს თემები სწორედ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით შეარჩიეს და მოიცავდა უკვე დაფარული მასალის გამოყენებას შუალედური მიზნებისთვის. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გარკვეულწილად გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში თითოეულ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, მაშინაც, როდესაც სამფაზიან გაკვეთილებს გეგმავდნენ და ახორციელებდნენ და ახლაც, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ეს უფრო მარტივი გახდა, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას. ამ კუთხით აუცილებელია გადაიხედოს და ჩასწორდეს I-IV კლასების კურიკულუმები. *დაწესებულების მიერ წარმოიდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 07 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის I-IV კლასების კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით, რათა მასში ჩანდეს ცოდნის აგების გზები. იქვე დაწესებულებამ წარმოადგინდა ხარვეზის გამოსწორების დოკუმენტაცია. წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაცია აღწერს ცოდნის აგების პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რიტაც სკოლამ გამოასწორა არსებული ხარვეზი.*

3. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დიდი ყურადღება ეთმობა იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც გულისმობს მოსწავლეების მიერ საკუთარი საქმინაობის დაგეგმვასა და ორგანიზებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანუ სწავლის სწავლას. **ბუნებისმეტყველების** მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეები აღჭურვონ ამ კომპეტენციით, რათა მათ საჭირო დროს ადვილად შეძლონ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. ბუნებისმეტყველების პედაგოგების აზრით, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. ამ მხრივ სკოლას აქვს გამოცდილება. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილზე იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს: სქემებს, დიაგრამებს, გასასვლელ ბარათებს. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების შუალედურ მიზნებად გამოყენაბა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, კომპლექსური დავალებები, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის მეთოდოლოგია, თვითშეფასების ფორმა იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ესთეტიკური აღზრდის** საგნების კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. ვინაიდან, ვიზიტის პერიოდისთვის, კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო სავალდებულო თემატური მატრიცების წარმოდგენა და ეს ყოველივე სექტემბრამდე უნდა შეიმუშაონ პედაგოგებმა ჩარჩოში წარმოდგენილ თითოეული კომპლექსური დავალების იდეასთან მიმართებით, ნათლად ვერ გამოიკვეთა სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები და კონკრეტული აქტივობები (რადგან ჯერ მატრიცები არ არის შემუშავებული), თუმცა **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელება მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზზე, მსჯელობას-დისკუსიას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ აქტიურად იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს. შესაბამისად, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება „სწავლის სწავლაზე“, მიღწეულ შედეგებსა და მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. **მათემატიკის** კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. დაწყებითი საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მიმართულების ორივე კურიკულუმში ნათლად არ იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, რადგან არ არის აღწერილი კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. **ფიზიკური აღზრდის** სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა ინდივიდუალირი ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებიდსა გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიან სასკოლო-სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები სწორედაც რომ სწავლის-სწავლაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე მიუთითებს, დაწყებითი კლასების უცხოური ენების კურიკულუმში ეს არ არის ნათლად წარმოჩენილი. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.

4. კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუსა და თვითშეფასების ფორმის გაანალიზების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავლებით მუშაობის მწირი გამოცდილება. თუმცა, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების საშუალებით, ცდილობენ ხელი შეუწყონ ცოდნის სამივე კატეგორიის: დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის გამოვლენას. მათ გასააქტიურებლად მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში სვამენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს, ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნას და გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტებისა და თეორიული მასალის დასწავლას, არამედ ამ ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. ბუნებისმეტყველების პედაგოგებს აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება, რაც კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლემ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული საქმიანობის დროს. სკოლის მიერ ახალი შემუშავებული კურიკულუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის მაქსიმალურად მიმართვას ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ასეთი ტიპის დავალებებად ცალსახად მოიაზრება კომლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც აქტიურად დაიგეგმა ყველა კლასში, ყველა თემის ფარგლებში. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით სწავლებისას მნიშვნელოვანია გააქტიურდეს როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ *„კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. როცა ჩვენ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება, ამას ვაღწევდით პროექტული სწავლებითაც. პროექტები კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოეყენებინა პრაქტიკული საქმიანობის დროს“.* **მათემატიკის** კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** დაწყებით საფეხურზე გაანალიზებული კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებლებმაც ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით და მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით. **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული შესაბამისი უნარების განვითარებას. . მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **უცხოურ ენებში,** დაწყებით საფეხურზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია რაც დაადასტურებს მათ ცოდნას კონსტრუქტივისტული პრინციპებისადმი, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ამაზე ისაუბრეს დამაჯერებლად. **ქართული ენისა და ლიტერატურის** დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. „კომპლექსური დავალებები საშუალებს იძლევა, დეკლარატიული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში და მათ შორის გამოიყენოს პროცედურული ცოდნა. როცა ჩვენ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება, ამას ვაღწევდით პროექტული სწავლებითაც. პროექტები კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნა გამოეყენებინა პრაქტიკული საქმიანობის დროს“ - აღნიშნულია თვითშეფასების კითხვარში, რაც მოწმობს, რომ სკოლა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის მიღებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის **ბუნებისმეტყველებაში** დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ასევე, ამა თუ იმ საკითხზე დაგროვებული წინარე ცოდნას. **ესთეტიკის საგნების** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მიღწევადია. **კომპიუტერულ ტექნოლოგიებში** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მითუფრო კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება (განხორციელებული კომპლექსური დავალებები) , მოსაზრებები და ხედვა მაძლევს იმის თვის საშუალებას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. როგორც თავად აღნიშნავენ, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში კომპლექსური პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება, ურთიერთ დაკავშირება და ორგანიზება. **მათემატიკის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი უნდა ააგონ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და გამოყენება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მიღწევადია. **ფიზიკური აღზრდის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატა პედაგოგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **უცხოურ ენებში,** მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი ინტერვიუს დროს, როდესაც მასწავლებლებმა თქვეს, რომ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობას თვეების განმავლობაში იყენებდნენ როგორც სკოლაში ასევე სახლშიც, თუმცა ეს მაგალითი არ აქვთ დოკუმენტირებულად დადასტურებული. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;*
- *შესაბამისობის გეგმა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს - დაგეგმილ კომპლექსურ/კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს არ ჰქონდათ შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის გამოცდილება. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში თითოეულ თემაში მოცემულია ერთი კომპლექსური დავალება, რომლებიც, როგორც შუალედური მიზანი, მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, რომლებიც საფეხურის შედეგებიდან გამომდინარეობს და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების არეალს. აგრეთვე, შუალედური სასწავლო მიზნები - კომპლექსური დავალებები. რომელთა განხორციელების დროს მკაფიოდ უნდა იქნას გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენასა და საგნობრივ საკითხებს შორის. რათა მოსწავლეებმა შეძლონ შესასწავლი თემის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევა. პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული აქტივობებით შეძლებენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. სავარაუდოდ, ეს გვაძლევს იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან სწორადაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ინტერვიუს დროს აღნიშული გამოცდილება კომპლექსური დავალებების დანერგვისა და მეორე მხრივ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. **მათემატიკის** მასწავლებლები ორიენტირებული არიან კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ I- VI კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, (მცირე გამონაკლისის გარდა) ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შევსებული ნაწილები, მეორე მხრივ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. რაც საბოლოოდ, მოსწავლის მიერ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაში, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი **ინგლისური ენის** კურიკულუმის ჩარჩოში საერთოდ არ იყო გაწერილი სამიზნე ცნებები, შესაბამისად თავდაპირველად რთული იყო იმის განსაზღვრა თუ რამდენად სიღრმისეული იყო ამის გათავისება. თუმცა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა ცოდნა და მზაობა ამ საკითხის მიმართ. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მე-5, ისე მე-6 კლასში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. რაც შეეხება პირველ ოთხწლედს, მასწავლებელთა მზაობა ჩანდა ინტერვიუების პროცესში, მაგრამ მათი ხედვა მართებულად არ არის ასახული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში და ამ მიმართულებით საჭიროა მათი ხელახალი გადამუშავება. *დაწესებულების მიერ წარმოიდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 07 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის I-IV კლასების კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით; ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, თემების, კონტექსტმაგალითების და რესურსების სწორად გააზრების მიზნით "ახალი სკოლის მოდელის" ექსპერტის მიერ მასწავლებლების კონსულტირება/ინსტრუქტაჟი. იქვე დაწესებულებამ წარმოადგინდა ხარვეზის გამოსწორების დოკუმენტაცია. რომელშიც შეიტანა სათანადო ცვლილებები და ურთიერთდაკავშირებულად აჩვენა ცნებების, ქვეცნებების, თემების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან შესაბამისობა. რითაც სკოლამ გამოასწორა არსებული ხარვეზი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები მაგ: მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობითა და ინიციატივით გახორციელდა უკრაინელი ბავშვების დასახმარებელი აქცია; საშობაოდ და სააღდგომოდ სკოლისა და ქალაქ ქუთაისის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების აქცია და სხვა. ეს ყველაფერი ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან საუბრისა, კურიკულუმების და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაწეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითრებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადსხვა სოციალური პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ **დაწყებითი საფეხურის მათემატიკის** მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზით დარწმუნდნენ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირება. ფიზიკური აღზრდის პედაგოგოებთან გასაუბრების შედეგადაც ვლინდება და შექმნილი კურიკულუმებიც ადასტურებს, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული არაფორმალური განათლება (რაც ინტერვიუში აიასახა) , ხელს უყწყობს მათში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ცხოვრების ჯანსაღი წესის, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **უცხოური ენის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტები ორიენტირებულია არამხოლოდ მოსწავლეთა ცოდნაზე არამედ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე რაც ასევე აღწერილია სკოლის თვითშეფასების კითხვარში და სასკოლო სასწავლო გეგმაშიც თუმცა დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ დაწყებით საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. *დაწესებულების მიერ წარმოიდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 07 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს უცხო ენების კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით, მოსწავლის ცოდნაზე და მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების კურიკულუმებში შეტანა.*

3. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: *„შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მათ ყოველთვის იციან, რომელი კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. სკოლაში USAID -საგაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნუვერსიტეტის ინიციატივით, ჩატარდა კვლევა განმავითარებელ შეფასებაში და სამიზნე აუდიტორიად შეირჩა ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების (მე-4*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასები) მოსწავლეები.“ აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების ამოცანები:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და პედაგოგები ცდილობენ შეფასების სისტემაც მორგებული იყოს ამ პროცესს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად შეფასების რუბრიკების შექმნას. წარმოდგენილი არ არის შეფასების მასალები **მათემატიკაში**, დაწყებით საფეხურზე, მაგრამ მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად ითვალისწინებენ არა მარტო მათი აკადემიური უნარების განვითარებას არამედ ცდილობენ შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ფიზიკური აღზრდის** საგნისთვის შერჩეული შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, საჭიროებს დახვეწას და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თემებზე მორგებას. რისი მზაობაც დააფიქსირეს ინტერვიუში პედაგოგებმა,. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა აგრეთვე ისიც, , რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. როგორც **უცხოური ენების** კათედრის ოქმში ვკითხულობთ, განმავითარებელი შეფასება ხდება ზეპირი უკუკავშირით, თუმცა რამდენად ატარებს ეს შეფასება ჰოლისტურ ხასიათს და არის მიმართული მოსწავლეთა განვითარებაზეც ეს არ ჩანს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. *დაწესებულების მიერ წარმოიდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2023 წლის 07 სექტემბრამდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს უცხო ენების კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა მისი სრულყოფის მიზნით, განმავითარებელ შეფასებაში ჰოლისტური მიდგომების ჩვენება.*

4. **ესთეტიკის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით; მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის დოკუმენტაციის განხილვისას, თვითშეფასების ანაგრიშიდან და პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, საგან ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა შეფასების დროს ყურადღება მახვილდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე. მასწავლებლები შეფასებისას იცავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, რათა იცოდნენ რაში და რატომ ფასდებიან. შეფასების კრიტერიუმები იქმნება მოსწავლეებთან ერთად. არის გამჭირვალე, მშობლებს აქვთ ინფორმაცია, როგორ ფასდებიან მათი შვილები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ენდობა სკოლის შეფასებას. მშობელთა მოთხოვნები განიხილება დახურულ ჯგუფებში, რომლებიც შექმნეს დამრიგებლებმა სოციალურ ქსელში. დირექციასთან შეხვედრისას მაქსიმალურად მხარდაჭერილია მშობელთა ინიციატივა. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის, შუალედური სასწავლო მიზნების დანერგვასთან დაკავშირებით, გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი აირჩიეს განმსაზღვრელი შეფასების მეორე - ერთკომპონენტიანი მოდელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში მასწავლებლებმა შექმნეს კონკრეტული დავალებების კონკრეტული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღრელი (V-VI კლასებისთვის), ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. ასევე, განსაზღვრავს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. **მათემატიკის** მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლის გზა. იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, კარგი იქნება მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს და იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, (კათედრის ოქმებიდანაც ჩანს). ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში და სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე, ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, ითქვა, რომ მომზადდება კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეებსაც ჩართავდა ამ საქმიანობაში.

5. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ სკოლის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები–ზუსტი. ამის დასტურია სკოლის მხრიდან ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები და შემდეგ საგნობრივ კათედრებზე ამ შედეგების განხილვის ტრადიცია. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ,,დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს.“ დიაგნოსტიკური წერა მომავალი სასწავლო წლისთვისაც იგეგმება. არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, „საკლასო წერა“. **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგის ინტერვიუც ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა **და ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრასთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა.

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. შეფასების შედეგები გადადის მოსწავლის პირად საქმეებში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხის მონიტორინგი. ყველა დოკუმენტი შენახულია კანონის შესაბამისად. კლასისა და საფეხურის დაძლევა ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, ინფორმაციის შეგროვებასა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას სკოლა უზრუნველყოფს კანონდებლობით დადგენილი წესით და ეს ინფორმაცია თავს იყრის როგორც დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში, ისე მატერიალური სახით. კანონის შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა. წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირდ საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *თვითშეფასების კითხვარი*
- *უცხოური ენების კათედრის ოქმი;*
- *სკოლის შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *შესაბამისობის გეგმა.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს; გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. **ბუნებისმეტყველების** პედაგოგებთან ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. რაც გვაფიქრებინებს, რომ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო ცხოვრების პროცესი წარიმართება თანამშრორმლობით, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობითა და პასუხისმგებლობით, რაც მიმღებლობის და ღიაობის დამადასტურებელია. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე და შექმნილი კურიკულუმებს გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრების ჩართულობით ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმები, სასაკოლო სასწავლო გეგმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერბებების საგნების მასწავლებელთა მონათხრობი გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და საწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. თუმცა თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით ბევრია სამუშაო, ვინაიდან მოსწავლეთა ინტერესების სფერო ძალიან დიდია და მუდმივად საჭიროა, ფეხი ავუწყოთ მათ მოთხოვნებს. მოსწავლეები ინტერესდებიან სხვადასხვა სახის კონკურსებით, ოლიმპიადებითა და ა.შ. თუმცა ამ კუთხით სკოლა ფიქრობს, რომ უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი და ისეთი მექანიზმის შეუშავებაა საჭირო, რომელიც მოსწავლეებს უფრო მეტად წაახალისებს, მათ წარმატებასა და პროგრესს უზრუნველყოფს. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონფერენციებში, სატელევიზიო, საქალაქო, რეგიონალურ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში. მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებს იღებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ოლიმპიადებში. წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუნებისმეტყველების მიმართულებით სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ფიზიკური აღზრდის** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **უცხოური ენის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებელი, ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს რომ მოსწავლეს აძლევენ ავტონომიას რაც ასევე მიუთითებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **ქართული ენისა და ლიტერატურის** მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

3. წარმოდგენილი მასალებისა გაცნობისა და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილების გაზიარებას. ბუნებისმეტყველების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ კათედრაზე, უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებებს, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აანალიზებენ სუსტ და ძლიერ მხარეს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის სრულყოფა და მოსწავლის ინტერესებზე მორგება. სკოლაში მოქმედებს ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მასწავლებლებთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს; აგრეთვე აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესი და კურიკულუმი. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებებს, ტარდება სამოდელო გაკვეთილები, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ მის სუსტ და ძლიერ მხარეს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის სრულყოფა და მოსწავლის ინტერესებზე მორგება. ეს ასევე დადასტურდა **უცხოური ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, სადაც აღინიშნა რომ მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ერთად ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ასევე, აღნიშნეს რომ ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე რაც ზრდის თანამშრომლობის კულტურას სკოლაში. თუმცა, დოკუმენტურად არსად არის წარმოდგენილი ერთმანეთს დასწრებული გაკვეთილების შეფასების ფორმები. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება, მაგალითად სტუმრობა მუზეუმში და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **საბუნებისმეგტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთა ინტერვიუს დროს და დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების პედაგოგები მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ თითოეულ თემაში შუალედური სასწავლო მიზნის, კომპლექსური დავალების განხორციელებას. შესაბამისად, გეგმავენ სასწავლო პროცესის ისე წარმართვას, რომ მოხდეს ზრუნვასა და პატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის წარმართვა, მოსწავლეთა თანამშრომლობის წახალისება, აგრეთვე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური საკლასო კლიმატი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები უფრო კარგად იგრძნობენ თავს, ექნებათ შესაძლებლობა, უფრო მეტი ცოდნა შეიძინონ და საჭირო უნარები გამოიმუშაონ. პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისთვის საჭირო აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის. მოსწავლეთა დამეგობრებისა და პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება და ხორციელდება კლასგარეშე აქტივობებიც, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *უცხოური ენების კათედრის ოქმი;*
- *თვითშეფასების დოკუმენტი;*
- *სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მეერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პუნქტები კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: დიაგნოსტიკური შეფასებებით, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევითა და სკოლის ინსტუტიციური განვითარებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები კათედრებზე განიხილავენ მოსაწავლეების მიღწევებს და პრობლემებს, შეირჩა დიაგნოსტირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ერთერთი ინსტრუმენტი „საკლასო წერა“. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება არა სპონტანურად, არამედ, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ აპირებს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. რაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და აღწერს: ა) რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და ბ) რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის პროცესში კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას სამი მიმართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, გააანალიზებენ და ასახავენ შესაბამის დოკუმენტში. ე.ი. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **უცხოური ენის** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ახსნეს და განმარტეს ის პრაქტიკები, რომელიც გამოიყენეს და აპირებენ გამოიყენონ კურიკულუმის შემუშავებისას. პრაქტიკებში ძირითადად მოიაზრებოდა მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავება. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია საკლასო წერის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმიდან ჩანს და **ბუნებისმეტყველების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია არა „დასჯა-წახალისებად,“ არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის ხარისხის პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი. შექმნილია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითრების მხარდამჭერი ჯგუფი /ხარისხის მართვის ჯგუფი. ეს ჯგუფი აანალიზებს მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებსა და აძლევს მათ უკუკავშირს. კათედრების მიხედვით აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესბლად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. **სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან** გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით (კათედრის მუშაობის ოქმებით დასტურდება). ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ს შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისათვის)
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისათვის).

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით **ესთეტიკის კათედრა** გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. **უცხოური ენების** კათედრის ოქმში აღნიშნულია, რომ სწორედ ერთობლივად, კათედრაზე მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ განიხილება და მოხდება მასწავლებლების საჭიროებების დადგენა. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ქართულის კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შემაჯამებელი ოქმი*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების ანგარიშის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების ინტერვიუების და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე, ვლინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში შეფასებას, განსაკუთრებით კი განმავითარებელ შეფასებას მნიშვნელოვანი როლი უკავია. მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან კი განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ხდება შესაბამისი რუბრიკების საშუალებით. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, მომავალ სასწავლო წელს კი აპირებს შეფასების მეორე მოდელის გამოყენებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას. სკოლას, აგრეთვე, წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის *„სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები,“* რომელიც სასწავლო პროცესის შეფასებისთვის ითვალისწინებს სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას, მათი მოლოდინების განსაზღვრასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზს. გარდა გამოკითხვებისა, პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. **ფიზიკური აღზრდის** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან იკვეთება, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგები ენით მიცემაში, რომელიც მიმართულია მოსწავლეების ჰოლისტური განვითარებაკენ და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. როგორც **უცხოური ენების** კათედრის ოქმში ვკითხულობთ, მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება კათედრის წევრებს შორის კათედრის სხდომებზე, ხოლო მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაცნობა/გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება კათედრის სხდომებსა და პედსაბჭოზე. შესაბამისად, შეფასება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქუთაისის 1 საჯარო სკოლის პედაგოგებს გაანალიზებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე; მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მოლოდინების განსაზღვრა, პროგრესის მონიტორინგი, თვითშეფასება და თვითრეგულაცია, თანამშრომლობითი და ურთიერთსწავლების მეთოდოლოგია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების წახალისება. საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც მორგებული იყოს ამ პროცესს. შესაბამისად, იყენებენ რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და ამ ტიპის შეფასება კლასში ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ქოუჩინგის პროცესში ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა გაიგეს, როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში განსაზღვრულია საგან ბუნებისმეტყველებაში თითოეულ თემაში კომპლექსური დავალებების გამოყენება, რომლებიც მოსწავლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამომწურავი ინფორმაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკების შედგენას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, რომლებიც ავტომატურად წარმოადგენენ მოსწავლეთა შედეგებსა და იძლევიან ანალიზის საშუალებას. მასწავლებელთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. აღნიშნეს, რომ იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა. შეფასების რუბრიკები **ფიზიკური აღზრდაში** საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლიც მიმართული იქნება იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოს შეფასება მრავალ კონტექსტში, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. სკოლამ გამოთქვა ამისთვის მზაობა. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში საგან **ბუნებისმეტყველებაში** ყველა კლასში მოსწავლეთა შესაფასებლად მომავალი სასწავლო წლისთვის იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის საშუალებითაც ადასტურებს საკუთარ ცოდნას შესასწავლ საკითხთან (ქვესაკითხთან) მიმართებით, რაც კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ასევე, გამოიყენება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა თვითშეფასება. შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვნება, მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება, გამოკითხვა და სხვა. მასწავლებლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით. **ესთეტიკის კათედრის** და **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლები მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების წარმოებასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკურ შეფასების წარმოებას. **ფიზიკურ აღზრდაში** დაწყებით საფეხურზე, ნაკლებად შეიმჩნეოდა კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, თუმცა ინტერვიუში, პედაგოგებმა, გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრა შეფასებისას იყენებს სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავს მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, ასევე გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას საკლასო წერის ინსტრუმენტის გამოყენებით.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასების ფორმა) გამომდინარეობს, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ მულტიფაქტორული მიდგომით. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ. ნებისმიერი პროცესის თუ მოვლების შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ დროსა და სივრცეს, რადგან აცნობიერებენ მოვლენათა ურთიერთდეტერმინიზმს. ითვალისწინებენ ყველა ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა შედეგზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. სასურველია მომავალშიც, ფიზიკურ აღზრდაშიც განმავითარებელ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმსაზღვრელ შეფასებაში მოხდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივი კათედრა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *შემაჯამებელი ოქმი*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის. **საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის 1 საჯარო სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე იმართება ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები. სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი იგეგმება დირექციის მხრიდან. მომავალი სასწავლო წლისათვის მუშავდება საჭიროებათა პაკეტი და ხდება თვითშეფასება. მუშავდება ცვლილებათა ნუსხა, რომელიც აისახება მომავალი წლის სამუშაო გეგმაში. რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რადგან ჯერ-ჯერობით გამოცდილება არა აქვთ, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას მიმდინარე ანალიზის, მასწავლებელთა რეფლექსიის, მოსწავლეთა თვითშეფასების და სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შედეგების განხილვაზე დაყრდნობით სკოლა დაადგენს საჭიროებებს კურიკულუმის განვითარებასთან მიმარებით. როგორც **უცხოური ენების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, და კათედრის ოქმშიც უწერიათ, მასწავლებლები ხედავენ კურიკულუმის შეცვლისა და განვითარების საჭიროებას ამის განსახორციელებლად კი თვლიან რომ სჭირდებათ მეტი პრაქტიკა და „ქოუჩების“ მხრიდან მეტი ტრენინგი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარშიც წერია, რომ სკოლას ჰყავს რამდენიმე „ქოუჩი“ რომლებიც სკოლას და სკოლის თანამშრომლებს დაეხმარებიან კურიკულუმის დახვეწასა და გაუმჯობესებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს (2022-2023) განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თვითშეფასების დოკუმენტში კი ვკითხულობთ, რომ *„სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში შექმნილ და სასწავლო წლის მანძილზე გამოყენებულ გეგმებში კეთდება ჩანიშვნები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და უკვე არსებული აქტივობების, მეთოდების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა/ჩანაცვლება სხვა ტიპის, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსებით, აქტივობებით და ა.შ. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძვნება სწორედ იმ გამოცდილებას, რაც სკოლას აქვს აქამდე არსებული მეთოდების, სტრადეგიების და რესურსების საფუძველზე.“* **ბუნებისმეტყველების** პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში შემუშავებული კურიკულუმის დანერგვის პროცესში მონიტორინგის საფუძველზე გამოკვეთილი გამოწვევების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. **ესთეტიკის კათედრის** და **კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან** გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **ფიზიკური აღზრდის** მასწავლებლების განცხადებით, 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის, ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……
……
……
……

23.08.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---